საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 258 (20604) ✦ პარასკევი, 10 ნოემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო სხდომაზე განიხილეს 1989 წლის 7 ნოემბერს რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში ნეგატიური გამოვლინებების საკითხი.

აღინიშნა, რომ დიდი ოქტომბრის 72 წლისთავის ზეიმმა, რესპუბლიკაში რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, მთლიანად მშრომელების, მოსახლეობის მიერ გარდაქმნისათვის გამიზნული პარტიის კურსის მხარდაჭერის ვითარებაში ჩაიარა. ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები, სხვა მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებები გაიმართა რესპუბლიკის ქალაქებში, სოფლებში და შრომით კოლექტივებში.

ამავე დროს, ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ამ დღეს ჩრდილი მიაყენა ხულიგნურმა გამოხდომებმა, ვითარების დესტაბილიზაციის, პოლიტიკური, სოციალური და ეროვნებათშორისი დაძაბულობის კერების შექმნის ცდებმა. აღინიშნა სახელმწიფო სიმბოლიკის მიმართ ვანდალიზმის, შებილწვის შემთხვევები, სხვა მართლსაწინააღმდეგო გამოვლინებანი, რომლებმაც მოქალაქეთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

ეს მოქმედება შეიძლებოდა გადაზრდილიყო მასობრივ უწესრიგობად და საფრთხეს უქმნიდა მრავალი ადამიანის პირად უშიშროებას, სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რაც მოითხოვდა პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების განსაკუთრებულ თავშეკავებას, რათა მოვლენათა განვითარებას არ შეეძინა განუჭვრეტელი ხასიათი, რასაც შეიძლებოდა მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს საკმარისი სიმტკიცე საიმისოდ, რომ დროულად აღეკვეთათ მართლსაწინააღმდეგო მოქმედება. ყველა პარტიული კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომი როდი მიუდგა ჯეროვანი პასუხისმგებლობით 1989 წლის 7 ნოემბრისათვის დასახულ ღონისძიებათა, მათ შორის საზოგადოებრივი წესრიგის და სადღესასწაულო გაფორმების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცედ დაგმო 1989 წლის 7 ნოემბერს მომხდარი ცალკეული მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და აქციები, რომელთა მიზანი იყო ვითარების დესტაბილიზაცია, მიიჩნია რა ისინი ყოვლად შეუთავსებლად საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციისათვის, ჯანსაღი კონსტრუქციული დიალოგის დამყარებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის კურსთან.

დაისახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, განისაზღვრა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ამოცანები. საჭიროა შევინარჩუნოთ თავშეკავება და სიმშვიდე, უფრო მტკიცე პოლიტიკური პასუხი გავცეთ მიუღებელ, უკანონო მოთხოვნებს, თანამიმდევრულად დავრაზმოთ ჩვენს გარშემო საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არიან გარდაქმნის ბაზაზე რეალური პროგრესით და ცხოვრების განახლებით, არ დავუშვათ მოვლენათა უმართავი განვითარება.

პარტიის თითოეულმა წევრმა უნდა დაიკავოს აქტიური შემტევი პოზიცია სოციალისტურ ღირებულებათა დამკვიდრებისათვის, მათი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ყოველგვარი ცდების აღკვეთისათვის ბრძოლაში.

რესპუბლიკის საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ მოსახლეობასთან, შრომით კოლექტივებში ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერების პრაქტიკულ ღონისძიებათა სისტემა, შექმნან დემოკრატიზაციის, საჯაროობის, აზრთა პლურალიზმის გაფართოების კურსთან შეუთავსებელ ხულიგნურ გამოვლინებათა დაგმობის ატმოსფერო.

ცნობად არის მიღებული სამართალდამცვითი ორგანოების ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტების გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები და მიმდინარეობს გამოძიება, რომ ხულიგნობის, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოების მიმართ ვანდალიზმის, შებღალვის არც ერთი გამოვლინება დაუსჯელი არ დარჩება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების, თბილისსა და აფხაზეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების, აგრეთვე მთიან აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებების გათვალისწინებით, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის სურვილების შესაბამისად 1989 წლის 7 ნოემბერს თბილისში არ გამართულა ჯარების პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 72 წლისთავის აღსანიშნავად.

სამწუხაროდ, ამ დღეს მოქალაქეთა ცალკეულმა ჯგუფებმა, რომლებსაც არ სურთ პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია, რესპუბლიკაში წამოჭრილი პრობლემებისა და ამოცანების კონსტრუქციული გადაწყვეტა, მიმართეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, ჩაიდინეს სახელმწიფო სიმბოლიკის მიმართ ვანდალიზმის, წაბილწვისა და შეგინების აქტები, ისინი გლეჯდნენ რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებს, გაფორმებას ქუჩებში, პროსპექტებსა და მოედნებზე, საცხოვრებელი სახლებიდან და ადმინისტრაციული შენობებიდან ქალაქის სხვადასხვა რაიონში. საღამოს რუსთაველის პროსპექტზე შეიქმნა მასობრივი უწესრიგობის წარმოქმნის საფრთხე, რომელსაც შეიძლებოდა მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. ყოველივე ამან სერიოზული, რეალური საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს ქალაქში.

შინაგან საქმეთა ორგანოები, რომლებმაც თავშეკავება გამოიჩინეს, აგრესიულად განწყობილ ჯგუფებს წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ, ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ამ მოქმედებას არ მოჰყოლოდა განუჭვრეტელი შედეგები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ აქვს ძალა და სრული უფლებამოსილება, აღკვეთოს ასეთი მოქმედება.

7 ნოემბერს თბილისში და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რეგიონში ჩადენილი ვანდალიზმის, საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევის ყველა ფაქტის გამო მიმდინარეობს გამოძიება. ბრალეულები დადგენილი იქნებიან და პასუხისგებაში მიეცემიან.

(საქინფორმი).

დროულად გავაფორმოთ მიწოდების ხელშეკრულებები

მომავალი წელი და მეცამეტე ხუთწლედი უნდა იყოს ყველა მიმართულებით მასშტაბური განახლების, სახალხო მეურნეობის შეწონასწორებულ და პროპორციულ მოქმედებაზე გადასვლის პერიოდი, რომელიც უზრუნველყოფს შეუნელებელ გაფართოებულ კვლავწარმოებას ეკონომიკის სოციალური ხელახალი ორიენტაციის მზარდი ტემპის პირობებში. ეს გახლავთ საგაისო გეგმების ფორმირების პრინციპული ამოსავალი მომენტები, რომლებიც ამავე დროს უნდა გახდეს ჩვენს ქვეყანაში პარტიისა და სახელმწიფოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული საწყისი ნაწილი.

მომავალი წლის გეგმაზე მუშაობის მეორე უმნიშვნელოვანესი საწყისი მომენტია ის, რომ აქტიურად შეიცვალოს უკეთესობისაკენ ქვეყანაში ამჟამად არსებული ეკონომიკური სიტუაცია. შეიქმნა ეკონომიკური ვითარება, რომელიც გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ერთი წლის წინათ. წლეულს, როგორც ცნობილია, ეკონომიკის დინამიზმი თვიდან თვემდე მცირდებოდა, ძლიერდებოდა სოციალური დაძაბულობა, სუსტდებოდა სახალხო მეურნეობის შეწონასწორებულობა. ამ პროცესების ფონზე კი იზრდებოდა დეფიციტი სამომხმარებლო ბაზარზეც და წარმოებაშიც.

საწარმოთა გარკვეულმა ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ, როცა არ არის მოწესრიგებული გლობალური ეკონომიკური ბერკეტები, ისეთები, როგორიც არის ბაზრის კონიუნქტურა, კონკურენცია, საკავშირო და რეგიონული გადასახადების სისტემა და, როცა მოხსნილია ყოვლისმომცველი დირექტიული საგეგმო დავალებანი, გამოიწვია ჯგუფური ეგოიზმის გაღრმავება, რაც იმით გამოიხატა, რომ შექმნა მოგების, ამის შედეგად კი რეალური პროდუქტის არაადეკვატური შემოსავლისა და შრომის ანაზღაურების ფასობრივი გაძლიერების პირობები, გაქრა იაფი პროდუქცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და კომისიების დასკვნით ქვეყანაში შეიქმნა უკიდურესად მძიმე ფინანსური მდგომარეობა. მოქმედებს მრავალი წამგებიანი საწარმო მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, აგროსამრეწველო სექტორში, საცხოვრებელ-კომუნალურ მეურნეობაში. ბიუჯეტის დეფიციტი პირდაპირ გამანადგურებელ ზეგავლენას ახდენს სასაქონლო ბაზარზე. ძლიერდება ინფლაცია, იკარგება მანეთის მყიდველუნარიანობა. ბჭობა და კამათი ამ საკითხებთან დაკავშირებით სესიაზე საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა. ეძიებდნენ ქვეყნის ეკონომიკის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანის რეალურ გზებს. ბოლოს და ბოლოს მომავალი წლის გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცდა.

შრომითი კოლექტივების ინტერესები სახელშეკრულებო მოწოდებისა და სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან გადაერთო თავისი პროდუქციის, როგორც პირდაპირი გაცვლის საშუალების გამოყენებაზე. ზოგიერთი საწარმო, სამწუხაროდ, ზეგეგმითი პროდუქციის გაყიდვის უფლებას სახელმწიფო შეკვეთის შესრულების საზიანოდ იყენებს. ეძებენ ხელსაყრელ მომხმარებელს და ავიწყდებათ, რომ მთავარია სახელმწიფო შეკვეთა, მიწოდების ვალდებულების შესრულება. ამ მხრივ ბევრია მოსაგვარებელი და, ალბათ, მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

ასეა თუ ისე, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში გრძელდება მომავალი წლისათვის პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებების გაფორმება. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა 468 რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოში შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ სექტემბრის პირველი დეკადის დამლევისათვის დადებული ხელშეკრულებების წილმა საგაისოდ გამოსაშვები პროდუქციის საერთო მოცულობაში 29,8 პროცენტი შეადგინა. მათ შორის ცენტრალიზებულად გასანაწილებელი პროდუქციისა — 26,1 პროცენტი, მომხმარებლების პირდაპირი ულიმიტო და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციების შეკვეთებისა — 38,7 პროცენტი. რაც შეეხება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს, მათ 1705 მილიონი მანეთის გამოსაშვები პროდუქციიდან ხელშეკრულებები 1677,1 მილიონ მანეთის პროდუქციაზე გააფორმეს.

შემოწმებისას მთლიანად ჰქონდათ გაწერილი მომხმარებლისათვის მისაწოდებელი პროდუქცია, მაგალითად, „საქნავთობის", „საქქვანახშირის" და „თეთრონის" საწარმოო გაერთიანებებს, თბილისის გაზის აპარატურისა და ზესტაფონის „საქკაბელის", აგრეთვე ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებს.

ამასთან, აღნიშნული პერიოდისათვის საქაგრომრეწვის საწარმოებს 4081 მილიონი მანეთის სარეალიზაციო პროდუქციიდან ხელშეკრულებები მხოლოდ 88,5 მილიონი მანეთის ნაწარმზე ჰქონდათ გაფორმებული. მცირე იყო გაწერილი პროდუქციის წილი იმ დროისათვის წარმოების მოცულობაში მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, რუსთავის „აზოტის" საწარმოო გაერთიანებებში.

მთლიანად ქვეყანაში და, მათ შორის, ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად სწორედ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევამ განაპირობა. საქართველოს სახალხო მეურნეობამ სხვადასხვა რეგიონებიდან ვერ მიიღო მილიონობით მანეთის ეკონომიკის დარგებისა და მათ შორის მრეწველობის შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭირო ნედლეული და მასალები. ჩვენც, ცხადია, „დავალალატეთ მომხმარებელი. მარტო ცხრა თვეში ვერ უზრუნველვყავით შემკვეთისათვის ვალდებულებით ნაკისრი 176288 ათასი მანეთის ნაწარმის მიწოდება. ერთნაირად არადამაკმაყოფილებელია ამ საქმეში როგორც ადგილობრივი, ისე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მუშაობა. მართალია, ნედლეულისა და მასალების უქონლობა ობიექტური მიზეზია, მაგრამ სუბიექტურიც არ არის ცოტა. მნიშვნელოვნად მეტი პროდუქციის მიწოდებას შევძლებდით, შემკვეთისათვის რომ არ მოშლილიყო საწარმოო და შრომის დისციპლინა, არ ყოფილიყო სამუშაოზე გამოუსვლელობის, მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო და უსულგულო დამოკიდებულების მრავალი ფაქტი.

ხელშეკრულებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, თუ რა დროისათვის და რა ხარისხის პროდუქცია უნდა მივაწოდოთ მომხმარებელს. ეს სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის მთავარი პირობაა. მხოლოდ ხელშეკრულების განუხრელი დაცვა უწყობს ხელს საწარმოს პრესტიჟისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. შემკვეთი თავის სამუშაო გეგმაში ითვალისწინებს პროდუქციის ნომენკლატურით მიწოდების ვადებს. იგი, ამავე დროს, თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვა ორგანიზაციასთან და, რომ იტყვიან, მოუთმენლად ელის კუთვნილ ნაწარმს.

მიწოდების ვალდებულების შესრულება, პრაქტიკულად, ყველა ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელზეა დამოკიდებული. თუ საწარმოში ჭარბობს მოძველებული მოწყობილობა, არ ახლდება დანადგარები, არ ხორციელდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, არ იზრდება შრომის ნაყოფიერება, ვერ ითვისებენ გათვალისწინებულ სახეობათა პროდუქციას და ვერ აფართოებენ მის ასორტიმენტს, ზედმეტია ლაპარაკი სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვაზე. მიწოდების ვალდებულების შესრულებას, ცხადია, ბევრად განსაზღვრავს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიზანმიმართული მოქმედება. შემკვეთის მიერ დაწუნებული პროდუქცია მძიმე ტვირთად აწვება საწარმოს.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა შეუნელებელი ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციონ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების საკითხი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ვალში არ დავრჩეთ მომხმარებლის წინაშე. იმ საწარმოებმა, რომლებმაც პირობა ვერ შეუსრულეს შემკვეთებს, უნდა აღიდგინონ ავტორიტეტი, დაიმსახურონ მომხმარებლის ნდობა. გაისად და მეცამეტე ხუთწლედში ამ მხრივ წესრიგი უნდა დამყარდეს.

წლეულს ასობით საწარმომ შეამცირა წარმოების მოცულობა და ესეც უარყოფითად მოქმედებს მიწოდების ვალდებულებაზე. ბოლო უნდა მოეღოს წარმოების მოცულობის თვითნებურად შემცირების შემთხვევებს, შეუნელებლივ უნდა ვიზრუნოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, დიდი მომჭირნეობით ვხარჯოთ ელექტროენერგია, სათბობი, ნედლეული, მასალები, უთუოდ განვამტკიცოთ შრომის და ტექნოლოგიური დისციპლინა.

მომავალი სამეურნეო წელი მეცამეტე ხუთწლედის საბაზო წელია. საგაისო გეგმები რთული და პასუხსაგებია, მათ შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკაში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვა. ყველა საგეგმო მაჩვენებლიდან მთავარია პროდუქციის მიწოდების ვალდებულების შესრულება.

„კომუნისტის" ეკონომიკის განყოფილება.

საუბრები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

8 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი ამერიკის ასოციაცია „ფრენდშიპ ფორსის" („მეგობრობის ლაშქრის") პრეზიდენტი უეინ სმიტი და ატლანტის ტელეკომპანიის დაბლიუ-ეჯ-აი-ეს მეთერთმეტე არხის პრეზიდენტი ჰარვი მარსი (ამერიკის ჯორჯიის შტატი).

გულთბილი, მეგობრული საუბრის დროს კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სულ უფრო მტკიცდება საქართველოს და ჯორჯიის შტატის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობის გაფართოების მზარდი ტენდენცია. ითქვა, რომ ასეთი კონტაქტები შესაძლებელი გახდა ახალი პოლიტიკის წყალობით, რომელიც ხორციელდება მთლიანად საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში.

საუბრის დროს გამოითქვა სურვილი, რომ საქართველოში, კერძოდ თბილისში შეიქმნას „მეგობრობის ლაშქრის" ორგანიზაცია, რომელიც კოორდინაციას გაუწევს თავის მოქმედებას მთლიანად საბჭოთა კავშირში, როგორც ეს ხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯორჯიის დედაქალაქ ატლანტის ცენტრებიდან.

წინასწარ მორიგდნენ, რომ გაისად გაზაფხულზე გაცვალონ ჩარტერული რეისები ატლანტიდან თბილისში და თბილისიდან ატლანტაში საქართველოსა და ჯორჯიის მშრომელთა წარმომადგენლებით, რომლებიც ერთმანეთის ოჯახებში იცხოვრებენ. დათქვეს აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ღვინოების ექსპორტის საკითხები, ორ ჯორჯიას შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გაცვლის სხვა საკითხები.

• • •

იმავე დღეს ნოდარ ჭითანავამ მიიღო კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროვინციის ეკონომიკის მინისტრი, განათლების ყოფილი მინისტრი თედ ჰაგენი, ვიქტორიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ჰოვარდ პეჩი, საერთაშორისო კავშირურთიერთობის უნივერსიტეტის დეკანი ჩურიჩიჩი და უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ბიზნესმენი გირ პარკერი.

ნოდარ ჭითანავამ სტუმრებს გააცნო ძირითადი მიმართულებანი, რომლებზეც ამჟამად მუშაობს საქართველოს მთავრობა, ილაპარაკა იმაზე, თუ რა პრობლემები წყდება ეკოლოგიის, დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის, ეკონომიკის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის, რესპუბლიკის სუვერენიტეტის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ცალკეულ ფირმებთან მისი უშუალო ურთიერთობის გაფართოებისათვის.

სტუმრებმა გამოთქვეს სურვილი გამონახონ საქართველოსა და კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის უშუალო კონტაქტების დამყარებისა და გაფართოების გზები ეკოლოგიის, განათლების, კულტურისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. ამის პირობები, აღნიშნა ორივე მხარემ, არის. ისინი უნდა გამოვიყენოთ. უნდა გავცვალოთ დელეგაციები, სპეციალისტები, მოსწავლეები, სტუდენტები და მასწავლებლები, დავნერგოთ მათი მიღება უშუალოდ ოჯახებში, რაც ხელს უწყობს ხალხთა შემდგომ დაახლოებას, მშვიდობისა და ურთიერთგაგების უზრუნველყოფას.

უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს ტყის მასივების მოვლისა და გამოყენების გამოცდილება, რომლებითაც მდიდარია საქართველოც და კანადაც, მათ შორის კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინცია, აგრეთვე მზის ენერგიის გამოყენების დარგში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გურამ ენუქიძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ნოდარ ამაღლობელი და სხვა ოფიციალური პირნი. (საქინფორმი).

კონტაქტები



„კოლხეთი": სერავენ ზღვებსა და ოკეანეებს

ფოთის წყალქვეშა ფრთიანი გემები „კომეტები" და „კოლხეთები" ახლა ზღვებსა და ოკეანეებს სერავენ. მათზე ფრიალებს საბჭოთა კავშირის, იტალიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბერძნეთის, თურქეთის, ბულგარეთის, კუბისა და მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყნის დროშები. ფოთის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხანა ერთ-ერთი დიდმწარმოებლური საწარმოა დარგში, ნიადაგ სრულყოფს თავის პროდუქციას, ზრდის სამუშაოთა ტემპს. გემთმშენებლები წარმატებით ართმევენ თავს როგორც ფრთიანი გემების გამოშვებას, ისე თევზსაჭერი სეინერების შეკეთებას, აითვისეს თევზსარეწი ბოტის „ბაკლანის" წარმოება. წელს თევზსაჭერ მეურნეობებს გაუგზავნიან 50 ასეთ გემს, ხოლო საზღვარგარეთელი შემკვეთები მიიღებენ ოთხ წყალქვეშაფრთიან „კოლხეთს".

გემების მაღალმა ხარისხმა საშუალება მისცა ფოთელებს მოეპოვებინათ უფლება დამოუკიდებლად გასულიყვნენ საერთაშორისო ბაზარზე და უშუალოდ დაემყარებინათ კონტაქტები საზღვარგარეთელ სავაჭრო პარტნიორებთან.

ახლა მოლაპარაკებას აწარმოებენ იტალიისა და კანადის ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნის შესახებ.

სურათებზე: მოწინავე გემთმშენებელი რამაზ ხოფერია; მიმდინარეობს წყალქვეშა ფრთიანი გემის „კოლხეთის" აწყობა.

ბ. დვალიშვილის ფოტო.
საქინფორმის ფოტო.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
9 ნოემბერი

● გდრ

პოლიტბიურო გადადგა

ბერლინი. აქ გაიხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. როგორც ადნ-ს სააგენტო იტყობინება, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ე. კრენცის წინადადებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა გადადგა.

არჩეულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ახალი შემადგენლობა.

ე. კრენცი ერთხმად დაამტკიცეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე. პოლიტბიუროს წევრებად აირჩიეს: ჰ.-ი. ბემე, ჰ. კესლერი, ე. კრენცი, ზ. ლორენცი, ჰ. მოდროვი, ვ. რაუჰფუსი, ვ. ჰერგერი, გ. შაბოვსკი, გ. შიურერი, ვ. ებერლიანი, ვ. იაროვინსკი. პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები გახდნენ: ვ. ვალდე, ჰ.-ი. ვილერდინგი, გ. ზიბერი, ი. ლანგე, მ. მიულერი, ი. ჰემნიცერი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩიეს: ე. კრენცი, ჰ.-ი. ვილერდინგი, გ. ზიბერი, ი. ლანგე, ზ. ლორენცი, ვ. რაუჰფუსი, ი. ჰემნიცერი, ვ. ჰერგერი, გ. შაბოვსკი.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს. იგი განიხილავს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოხსენებას ქვეყანასა და პარტიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, შეიმუშავებს პარტიის სამოქმედო პროგრამას.

ვენის მოლაპარაკებაზე

დაიწყო მეოთხე რაუნდი

ვენა. ვენის ჰოფბურგის სასახლეში დაიწყო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ მოლაპარაკების მეოთხე რაუნდი, რომელშიც მონაწილეობს ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს 23 სახელმწიფო. განვლილი სესია დინამიკური იყო და ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან ატმოსფეროში და აღინიშნა კონკრეტული შედეგებით.

მაგალითად, შეძლეს დაეფიქსირებინათ მომავალი ხელშეკრულების პირველი შეთანხმებული ფრაგმენტი — არტილერიის განსაზღვრა. იგი ნათლად მოწმობს, რომ შემცირებას დაექვემდებარება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების 100 მილიმეტრზე მეტი კალიბრის ყველა საარტილერიო სისტემა, რომლებსაც შეუძლიათ მიწისზედა სამიზნეების დაზიანება, ძირითადად დახურული საცეცხლე პოზიციებიდან.

● აშშ-ფილიპინები

კ. აკინოს ვიზიტი

ვაშინგტონი. ფილიპინების პრეზიდენტმა კორასონ აკინომ დაიწყო ოფიციალური ოთხდღიანი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხუთშაბათს იგი შეხვდა ვაშინგტონში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ხელმძღვანელობას, პოლიტიკური და საქმიანი წრეების გავლენიან წარმომადგენლებს.

როგორც იუპი-ს სააგენტო აღნიშნავს, „ქვეყნის ეკონომიკაში ახალ კაპიტალდაბანდებათა მოზიდვა ერთ-ერთი მთავარი თემაა", რომელსაც განიხილავს ფილიპინების სახელმწიფოს მეთაური ამერიკის ადმინისტრაციასთან ერთად. როგორც იუპი მოწმობს, ფილიპინების 58-მილიონიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს აბსოლუტურ სიღარიბეში. ქვეყნის საგარეო ვალმა მიაღწია ყველაზე მაღალ ნიშნულს თავისი ისტორიის მანძილზე — 28 მილიარდ დოლარს. ამერიკელი და სხვა დასავლელი კრედიტორებისათვის ვალების ყოველწლიური გადასახდელები ნთქავენ მყარი ვალუტით ფილიპინების მთელი საექსპორტო შემოსულობის მესამედს.

⊙ იორდანია

ქართველ მსახიობთა გასტროლები

ამანი. იორდანიაში დიდი წარმატებით ჩაიარა ქართველ მსახიობთა გასტროლებმა. მაყურებლის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს ქართული სიმღერის ხალხური ანსამბლის „ფაზისის" კონცერტებმა, რომლებიც გაიმართა კლდეებში მდებარე ძველ ქალაქ პეტრაში, და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის გამოსვლებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. იორდანიის ხელოვნების მოყვარულებმა დიდი შეფასება მისცეს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ნანული აბესაძისა და ელენე ხელაშვილის ჩონგურის დაკვრისა და ილუზიონისტის, იტალიაში გამართული ევროპის პირველი ფესტივალისა და მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეთორმეტე ფესტივალის ლაურეატის გია ფარადაშვილის ოსტატობას.

● ნამიბია

პირველად ქვეყნის ისტორიაში

ვინდჰუკი. ნამიბიაში, პირველად აფრიკის ამ ქვეყნის ისტორიაში, იმართება თავისუფალი არჩევნები, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლით მიმდინარეობს. 700 ათასამდე ამომრჩეველმა უნდა აირჩიოს დამფუძნებელი ასამბლეის 72 დეპუტატი. ასამბლეამ უნდა შეიმუშაოს ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია. კენჭისყრის შედეგები შეჯამდება 14 ნოემბერს.

არჩევნებში მონაწილეობენ 10 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. როგორც ვარაუდობენ, გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციას, რომელიც მხარს უჭერს ჭეშმარიტად თავისუფალი არარასობრივი სახელმწიფოს შექმნას. მისი მთავარი მეტოქეა დემოკრატიული ალიანსი ტურნჰალე.

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტმა სემ ნუიომამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დამოუკიდებელი ნამიბია იბრძოლებს სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის აღმოსაფხვრელად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არჩევნების პირველ დღეს კენჭისყრაში მონაწილეობდა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 30 პროცენტი და მთლიანად არჩევნების პროცესი ინციდენტების გარეშე მიმდინარეობს.

მოკლედ

● ათენი. კონსერვატიული პარტიის „ახალი დემოკრატიის" ლიდერი კონსტანტინოს მიცოტაკისი, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქრისტოს სარძეტაკისმა გადასცა მანდატი საბერძნეთის ახალი მთავრობის შექმნის შესაძლებლობების შესწავლისათვის, შეუდგა აქ კონსულტაციებს. იგი შეხვდა სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის პარტიის ლიდერს ანდრეას პაპანდრეუს.

ამ შეხვედრის დროს, როგორც იუწყებიან, მან წამოაყენა წინადადება შეიქმნას მთავრობა ყველა უდიდესი პარტიის მონაწილეობით, იმისათვის, რომ ქვეყანა გამოიყვანონ პოლიტიკური კრიზისიდან.

● ტოკიო. მუშა-მოსამსახურეთა საშემოდგომო ბრძოლის ფარგლებში იაპონიის დედაქალაქში გაიმართა მშრომელთა უფლებების დაცვის მოთხოვნათა მხარდამჭერი მიტინგი. ტოკიოს ჰიბიის პარკში შეიკრიბა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 2 ათასი კაცი. მათ მოითხოვეს სამომხმარებლო გადასახადის გაუქმება, რომელიც ცალმხრივი წესით შემოიღო მმართველმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ მიმდინარე წლის აპრილში. ყველა საქონლისა და მომსახურების ამ არაპირდაპირმა გადასახადმა გამოიწვია ფასების ზრდა იაპონიაში.

სახალხო მეურნეობა: პრობლემები, პერსპექტივები

რატომ დავივიწყეთ მინა?

დღევანდელი დეფიციტის პირობებში, როდესაც მაღაზიათა დახლებიდან გაქრა და სანთლით საძებარი გახდა ბევრი ისეთი ნივთი და ნაწარმი, რომელთა ნაკლებობა აქამდე არც გვიგრძვნია, რაიმე ნაკეთობის შეძენასთან დაკავშირებული პრობლემა თითქოს არც უნდა გვიკვირდეს. მიუხედავად ამისა, მაინც გვაინტერესებს, რატომ გაქრა სავაჭრო დახლებიდან მინის სხვადასხვა სახეობის ნაწარმი, და მისი ადგილი თითქმის მთლიანად რატომ დაიკავა ძვირადღირებულმა ბროლმა? ისიც საკითხავია, რატომ არ ვიყენებთ მინას სამშენებლო წარმოებაში? რესპუბლიკაში მინის მრეწველობა მხოლოდ ტარის დამზადებით შემოიფარგლა (საჭირო ოდენობით ისიც არ მზადდება), მაშინ როდესაც მისი გამოყენების არეალი ბევრად უფრო ფართოა. რა უნდა ვიღონოთ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, რატომ ჩამორჩა დარგი, რა უნდა გაკეთდეს მისი შემდგომი განვითარებისათვის? — ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სარუხანიშვილი.

თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, თქვა მან, მთელ მსოფლიოში მჭიდროდ არის დაკავშირებული მინის მრეწველობასთან. ის გამოწვეულია მინის ამორფული მყარი ტანის ძვირფასი ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებებით. დღეს ეს მშვენიერი მასალა ფართოდ გამოიყენება არქიტექტურულ-სამშენებლო, ოპტიკურ და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში.

საქართველოში კი, სამწუხაროდ, მინის მრეწველობა მხოლოდ ტარის წარმოებით წარმოჩინდება. არადა, ისტორიულად მინის ტარის მანქანური წარმოება ჩვენში მეოცე საუკუნის მიჯნაზე ავჭალასა და ბორჯომში შექმნილი მცირე საწარმოების საფუძველზე ჩამოყალიბდა. გავიდა დრო და აქ დამზადებული პროდუქცია აღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, ამიტომაც იყო, რომ ომის წლებში ქუთაისში ორჯონიკიძიდან ევაკუირებული ქარხნის ბაზაზე შეიქმნა მინის ქილების ქარხანა, ხოლო დაბა სურამში მინის ტარის ქარხანა „ბორჯომის“ ჩამოსასხმელად. პრესაშიც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მინის მრეწველობის ასეთი სპეციფიკური, შეიძლება ითქვას, ცალმხრივი განვითარების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ თავიდანვე მისი წარმოება გადაეცა კვების მრეწველობის სამინისტროს, რომელსაც ტარის გარდა სხვა სახეობის პროდუქცია არ სჭირდებოდა და არც აინტერესებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში მინის წარმოება დაექვემდებარა საშენ მასალათა მრეწველობას, რამაც ბევრად განსაზღვრა ამ დარგის შემდგომი განვითარება. ჩვენთან, კი, ოდესღაც ძლიერი მინის ტარის ქარხნები დღეს სავალალო მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ მინის ტარის არსებულ ქარხნებში და გაერთიანებაშიც, უნარიანი, თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტები ადრეც მუშაობდნენ და ახლაც მუშაობენ. თვითდამშვიდებამ მინის მრეწველობის ხელოვნურად დაყოფამ, მისი განვითარების არასწორმა დაგეგმვამ, ტექნიკური კვლავაღჭურვის აუცილებლობის შეუფასებლობამ, საკადრო პოლიტიკის არასწორად წარმართვამ და სხვა მიზეზებმა მნიშვნელოვნად დაგვწია უკან.

კავშირის მასშტაბით შესაძლებელი გახდა ზოგიერთ ქარხანას თავისი პროფილი შეეცვალა. აქ მართლაც დაიწყეს სხვადასხვა სახეობის ნაწარმის დამზადება, მაგრამ საქართველოში ეს ვერ მოხერხდა. ჩვენთან მინის წარმოება გადაეცა საქსახაგრომრეწვს, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა აინტერესებდეს ამ დარგის განვითარება, მაგრამ სასიკეთო ძვრა არც აქ იგრძნობა. არადა, ამ უკანასკნელს, კვების მრეწველობისაგან განსხვავებით, დიდად უნდა აღელვებდეს მინის საკუთარი საშენი მასალების გამოშვება მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების, სათბურების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი ნაგებობების ასაშენებლად, ვინაიდან თანამედროვე მშენებლობაში ეს მასალა ფართოდ გამოიყენება. მინაპაკეტები, ბლოკები, ფილები, მინაპროფილიტი, პანელები, მინის კრამიტი, რაფები, თბო-დაბგერასაიზოლაციო დეტალები, სანიტარიულ-ტექნიკური ნაკეთობები, გამანათებელი არმატურა, ...აი, არასრული ნუსხა მინის ნაწარმისა, რომლებიც აქტიურად შეეძლო გამოეყენებინა აგრომრეწვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ პრობლემის მოსაგვარებლად აქ არ სცალიათ.

როგორც ცნობილია, მინის მასალების დამახასიათებელი ძირითადი თვისება ის გახლავთ, რომ იგი ეკონომიკურად მეტად მომგებიანია, ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მათი დახმარებით შესაძლებელია ნაგებობათა განათებისა და სასოფლო-მეურნეობის კულტურების ზრდის რეგულირებაც, თუ აგრომრეწვი სათანადოდ დაინტერესდება და ხელს შეუწყობს მინის მრეწველობის განვითარებას, არ წააგებს, მითუმეტეს, რომ საქართველოში არის მრავალი საყურადღებო წინადადება ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების გამოყენების საფუძველზე მინა-მასალების მისაღებად. მაგრამ, როგორც ვხედავთ, აგრომრეწვს მინა კვლავ აინტერესებს მხოლოდ, როგორც ტარა და ამ პროფილის ქარხნების ძირითადი საზრუნავიც მხოლოდ ტარის გამოშვებაა. ეს კი დიდად აფერხებს შემოქმედებითი მუშაობის გააქტიურებას, რაც მინის მრეწველობის შემდგომ აღმავლობას წაადგებოდა. გაუქმდა ავჭალის ლენინის სახელობის ქარხანა, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა დარგში. იგი მინის ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ ითვლებოდა, ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ქარხნისათვის სხვადასხვა სახეობის მინის პროდუქციის დამზადება დაევალებინათ, მითუმეტეს, რომ აქაურ კოლექტივს ამის გამოცდილება ჰქონდა. თუ არსებულ მოწყობილობასაც თანდათანობით განაახლებდნენ, ის კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს ასორტიმენტის განახლებას. საბოლოოდ კი, აგრომრეწვიც და მომხმარებელიც კმაყოფილი დარჩებოდნენ. გარდა აგრომრეწვისა, დღეისათვის სრულიად გაუგებარია საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სისტემის მუშაკების პოზიციაც მინის გამოყენების მხრივ.. მათ შეძლეს ბროლის წარმოების განვითარება, მაგრამ უყურადღებოდ დატოვეს მინა, რომლისგანაც მრავალი სახეობის ნაწარმი შეიძლებოდა დამზადებულიყო. მითუმეტეს, რომ საქართველოს საშენ მასალათა კვლევითს ინსტიტუტში ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით მინის პროდუქციის მრავალი ნიმუშია დამზადებული. მაგრამ ყველაფერი ამაოდ, კვლევის შედეგები არ გასცილებია საცდელ წარმოებას, ქაღალდზე დარჩა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტთა ნამუშევრებიც.

იქნებ მინის საშენი მასალები არ სჭირდება საქართველოს? — ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგან იშვიათად იცვლება ჩვენთან აშენებული საცხოვრებელი თუ საწარმოო ნაგებობების გარეგნული სახე, მათი შეკეთებისათვის გაწეული ხარჯები კი მატულობს. და ეს მაშინ, როდესაც თანამედროვე არქიტექტურამ სხვა საშენ მასალათა შორის მინის ნაწარმი ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე დააყენა. მით უფრო საწყენია, რომ საქართველოში მინის საშენმა მასალამ ფეხი ვერ მოიკიდა. არადა, ეს მასალები ესთეტიკურადაც და ეკონომიკურადაც გამართლებულია. მშენებლებს ნაგებობათა დაგეგმარებისას საშენ მასალებში არჩევანი არა აქვთ და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ ჩვენს მიკრორაიონებში აგებული სახლები ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. როგორც ვიცით, ჩეხურ მინას მსოფლიო ბაზარზე ეტანება მყიდველი, ჩვენ კი, სხვა რომ არა ვთქვათ, უმარტივესი ნაირფერი ჭიქების გამოშვება ვერ გადაგვიწყვეტია. წლები კი გარბის, არ დავკარგოთ ძვირფასი დრო სახალხო მეურნეობის ისეთი პერსპექტიული დარგის განვითარებისათვის, როგორიც არის მინის მრეწველობა.

ესაუბრა
ლალი ქინქლაძე.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა შეასრულეს ხორცის დამზადების წლიური დავალება. გეგმით გათვალისწინებული 44 ტონის ნაცვლად მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 47 ტონა ხორცი.

საგრძნობ წარმატებებს მიაღწია კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის კოლექტივმა. წლის დამდეგიდან აქ მოწველეს დაახლოებით 400 ტონა რძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ბრიგადირი მ. გვათუა, ფერმის გამგე მ. ბიგვავა, ზოოტექნიკოსი მ. ჯახია და მწველავი მ. ზარანდია; მეხბორე ნანა გოგია.

საქინფორმის ფოტოქრონიკა

გათბობის სეზონი: როგორ მოვემზადეთ მისთვის?

ქალაქი ზამთრის მოლოდინში

ბოლო წლებში ძირეულად შეიცვალა და გაიზარდა ქალაქ თელავის თბომეურნეობა, მისი საშუალებები და შესაძლებლობები. ორი ცენტრალური საქვაბის აშენება-ამოქმედებამ, რომლებსაც თანაბარი უკუგებით შეუძლიათ იმუშაონ როგორც ბუნებრივ გაზზე, ისე თხევად საწვავზე, მყარი გახადა მოსახლეობისა და საწარმოდაწესებულებების სითბოთი მომარაგება. გათბობის მძლავრი წყაროების შექმნას 12 მცირე სიმძლავრის საქვაბის გაუქმება მოჰყვა, რამაც შეამცირა საერთო ხარჯები, მძიმე შრომისაგან გამოათავისუფლა ადამიანები. მაგრამ საქალაქო მეურნეობის მუშაკებს ამით საზრუნავი არ მოჰკლებიათ. — თბოქსელის გაფართოება-სრულყოფა ხომ დიდ ძალისხმევასა და ცოდნას ითხოვს.

მაგრამ რა დასამალია და, ეს საქმე ხშირად უხარისხოდ სრულდებოდა, რის შედეგად საწარმოო დანიშნულების თუ საცხოვრებელი შენობები ზამთარში ცუდად ან საერთოდ ვერ თბებოდა. არსებული ხარვეზების გამოსწორება, ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობა რაიონის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ორგანოების მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანია. მიმდინარე წელს სახალხო დეპუტატთა თელავის რაისაბჭოს აღმასკომმა სამჯერ განიხილა ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის მიმდინარეობის საკითხი. ამაზე მსჯელობა პირველად ჯერ კიდევ აპრილში გაიმართა. შემუშავდა ღონისძიებათა გეგმა, რომლის შესრულების მიმდინარეობა ჯერ ივლისში, შემდგომ კი სექტემბრის მიწურულს გადამოწმდა. მუდმივმა კონტროლმა და ქმედითმა დახმარებამ კარგი შედეგიც გამოიღო. ამჟამად ქალაქის საწარმოორგანიზაციათა და საცხოვრებელ შენობა-ნაგებობათა უმეტესი ნაწილი ზამთრის სეზონისათვის მომზადებულია. ჩატარებულია შიდაქსელების შეკეთებისა და მათი ჰიდრავლიკური გამოცდის სამუშაოები, ადგილზე მიზიდულია სარეზერვო საწვავი და სხვ.

თუმცა, როგორც აღმასკომის ბოლო სხდომაზე აღინიშნა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. კერძოდ, ნელი ტემპით მიმდინარეობს № 2 ცენტრალური საქვაბის გამკვეთ-გადამქაჩი სადგურის მშენებლობა. თავის დროზე, საქვაბის და ქსელის დაპროექტებისას, არ იყო გათვალისწინებული ქალაქის რელიეფი, ამან გამოიწვია ქსელში წნევის სხვაობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა მის ნორმალურ ფუნქციონირებას. როგორც მშენებლებს — რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თელავის სარემონტო სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს, ისე დამკვეთს — კაპიტალური მშენებლობის სარაიონთაშორისო სამმართველოს — მეტი ორგანიზებულობა მართებთ, რათა დროულად დასრულდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს სადგური. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ქალაქის სამრეწველო ზონის ფაბრიკა-ქარხნების თბომომარაგებას.

ჯერ ყველაფერი სათანადოდ არ არის მოწესრიგებული განათლების სისტემის ობიექტებში. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ქალაქის სკოლათა უმეტესობაში ზამთარში ბავშვები გაკვეთილებზე პალტოთი თუ ქურთუკებით სხედან. უფრო რთული მდგომარეობაა იმ სკოლების შენობებში, რომლებიც ცენტრალურ თბოქსელზე არ არიან მიერთებულნი. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება № 3 საშუალო სკოლა, რომელსაც ერთ დროს ავტონომიური საქვაბე ჰქონდა, მაგრამ ვინაიდან იგი უსაფრთხოების წესებს ვერ უპასუხებდა, გააუქმეს. სკოლის გათბობის სისტემა კი „ინტურისტის“ სასტუმრო „კახეთის“ საქვაბეს მიუერთეს. მაგრამ ამას სკოლის გათბობის საქმე უკეთესობით არ შეუცვლია, ანდა, როგორ შეცვლიდა, როდესაც საქვაბე (რომელიც, ბუნებრივია, თავდაპირველადვე მხოლოდ სასტუმრო „კახეთისთვის“ იყო გათვალისწინებული) ამჟამად ხუთ სხვადასხვა სიდიდის და დანიშნულების ობიექტს აწვდის სითბოს. ერთი მხრივ თითქოს გადაწყდა ამ შენობა-ნაგებობის გათბობის პრობლემა, მაგრამ ფაქტობრივად სტუმარსაც სცივა და მასპინძელსაც. გამოსავალი, ალბათ, ის არის, რომ საქვაბე ქალაქის თბომეურნეობას გადაეცეს და მისი სიმძლავრეებიც გაიზარდოს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ წელს საქვაბეში მეექვსე ობიექტი, მის ახლო მდებარე რაიონული პოლიკლინიკაც ჩაერთო.

წელს სწორედ პოლიკლინიკის გათბობის საკითხი გვაფიქრებს, — ამბობს თელავის რაიონის მთავარი ექიმი სიმონ ქოჩლაძე. — რაც შეეხება ქალაქის სხვა სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც ძირითადად ერთ ტერიტორიაზეა განლაგებული, მათი სითბოთი უზრუნველყოფის საკითხი ეჭვს არ იწვევს.

რაისაავადმყოფოს ექვსი საქვაბე ემსახურება. აქედან ოთხი ბუნებრივ გაზზე მუშაობს, ორი კი თხევად საწვავზე. ამჟამად აქ იმდენი სათადარიგო საწვავი აქვთ, რომ თუ გაზის მოწოდება შეფერხდა, საქვაბე ორ თვეს მაინც იმუშავებს. ახალი წლიდან კი, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ შეივსება რეზერვუარები. შემოტანილი აქვთ ასევე საჭირო რაოდენობით მარილი წყლის შესარბილებლად, სხვა დამხმარე მასალები. გათვალისწინებულია რაისაავადმყოფოს ცხელი წყლის უზრუნველყოფაც.

წელს შარშანდელთან შედარებით უკეთ მომზადებულნი ხვდებიან გათბობის სეზონს ქალაქის კულტურის თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, რაც იმედს იძლევა, რომ წლევანდელი ზამთარი, რაგინდ ცივიც უნდა იყოს იგი, თელაველებისათვის განსაკუთრებით საშიში არ იქნება.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კითხვები და პასუხები აქტუალურ საკითხებზე

დაუსწრებელი დიალოგი

საქმისადმი ლენინური მიდგომა იმას გვიკარნახებს, რომ საჭიროა ყოველთვის მთავარი ყურადღება მივაპყროთ სერიოზულ განსჯას, ვითარების რეალურ შეფასებას, გადაუჭრელ პრობლემებს.

მით უმეტეს, როცა პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მშრომელთა უამრავ კითხვას იღებენ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო. „კომუნისტის“ მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთ განზოგადებულ კითხვას და მასზე პასუხს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მონაცემებისა და თვალსაზრისის გათვალისწინებით.

კითხვა: რა პოზიცია უჭირავს მთავრობას იმ გიგანტურ მშენებლობებთან დაკავშირებით, რომლებმაც ხალხის გულისწყრომა გამოიწვია?

პასუხი: გიგანტურ მშენებლობებზე, რომელთა შორის უწინარესად ტრანსკავკასიონის რკინიგზა და ხუდონჰესის მშენებლობები იგულისხმება, სამუშაოთა წარმოება შეჩერებულია და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იღებს სასწრაფო ზომებს ამ ობიექტებზე დასაქმებული მუშახელისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შრომითი მოწყობის საკითხების გადასაწყვეტად, რაც ფაქტობრივად უკვე ჩამოყალიბებულია. შრომითი კოლექტივების დაშლას და რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მათ დასაქმებას მოითხოვს. ამ ობიექტებზე მშენებლობის გაგრძელება არ არის გათვალისწინებული.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მთავარი ყურადღება ამჟამად გადატანილია სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის სახლების და დასახლებული პუნქტების მშენებლობაზე. ამ საკითხს სისტემატურად იხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები პირველ რიგში ამ ობიექტების მშენებლობებს ხმარდება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი, სადაც რესპუბლიკაში მშენებელთა პირველი რიგის ამოცანად სწორედ ზემოაღნიშნული ობიექტების მშენებლობის უზრუნველყოფა ჩაითვალა. წლევანდელი პროგრამა ითვალისწინებს სვანეთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისათვის დარჩენილი 1507 სახლის აშენებას (სულ ასაშენებელი იყო 2861 სახლი), ხოლო აჭარიდან ჩამოსახლებულთათვის — 841 ობიექტის ჩაბარებას. ყველა ორგანიზაციას, რომელიც ამ მშენებლობებს აწარმოებს, დავალებული აქვს მთელი შრომითი და მატერიალური რესურსების მობილიზება დაგეგმილი პროგრამის უთუო შესრულებისათვის.

კითხვა: რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით იქნება თუ არა საზღვარგარეთული მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების ვალუტით შესყიდვის შესაძლებლობა?

პასუხი: რესპუბლიკის დღევანდელი სავალუტო მდგომარეობის გათვალისწინებით შესაბამისი სახსრების გამოყოფა საზღვარგარეთული მანქანების და სათადარიგო ნაწილების შესასყიდად არ არის შესაძლებელი. სამეურნეო ანგარიშის დანერგვის პირობებში ამ საკითხის დასმა შეუძლიათ იმ სამინისტროებს, უწყებებს და საწარმოებს, რომელთაც აქვთ საკუთარი სავალუტო სახსრები. მომავალში შეიძლება დაისვას საკითხი, რომ რესპუბლიკაში შეიქმნას ერთობლივი სავაჭრო ფირმა, რომელიც ივაჭრებს არა მარტო ზემოაღნიშნული საქონლით, არამედ ფართო მოხმარების სხვა საქონლითაც.

კითხვა: როგორია წახალისების საშუალებების (მანქანა, ავეჯი და სხვა) ცენტრალიზებული განაწილების პრინციპები?

პასუხი: დღეისათვის რესპუბლიკაში მოქმედი დეფიციტური საქონლის, მათ შორის უცხოური წარმოების მანქანის, ავეჯის და სხვა ნაკეთობათა რეალიზაციის სისტემა შეესაბამება სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. დეფიციტური საქონლის განაწილება ხდება როგორც ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, ასევე მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მოსახლეობის ისეთი კონტინგენტის უზრუნველსაყოფად, როგორიც არიან ომის მონაწილენი და ინვალიდები, შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი და სხვანი. ადგილებზე მანქანებს, შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილების შესაბამისად, საქალაქო და რაიონული აღმასკომები ანაწილებენ.

კითხვა: როგორია რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობის რეალური გზები?

პასუხი: მიმდინარე ხუთწლედის გასულ პერიოდში ჩვენს ეკონომიკას მთელი რიგი უარყოფითი ტენდენციები ახასიათებდა. ამის მიზეზია წლების მანძილზე ჩამოყალიბებული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის წინასწარ გაუთვალისწინებელი მსხვრევა ჩაისა და ღვინის წარმოების მკვეთრი შემცირების გამო, აგრეთვე ზვავები და კატასტროფული წყალდიდობები. არანაკლები როლი შეასრულა იმ სირთულეებმა და დეფორმაციებმა, რომლებმაც რადიკალურ სამეურნეო რეფორმის პრაქტიკაში განხორციელებისას იჩინა თავი.

მიმდინარე ხუთწლედის 3 წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში საგეგმო გაანგარიშებებთან შედარებით შეიქმნა 1239 მილიონი მანეთით ნაკლები ღირებულების პროდუქცია. რთული ვითარებაა შექმნილი ფულის მიმოქცევის სფეროშიც. ამავე პერიოდში გეგმის გადამეტებით ბრუნვაში გაშვებულია მილიონობით მანეთი. საკასო გეგმის შემოსავლის ნაწილის შეუსრულებლობის გამო ბანკებმა ვერ მიიღეს მილიონობით მანეთი ნაღდი ფული.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ მიმდინარე გარდაქმნების სიღრმე და ტემპი აშკარად არადამაკმაყოფილებელია და არსებითს ზეგავლენას ვერ ახდენს მეურნეობრიობის საბოლოო შედეგებზე.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა სამეურნეოანგარიშობრივი პრინციპების საყოველთაო დანერგვა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლის ყველა უპირატესობის გამოყენებით, საიჯარო ურთიერთობების განვითარებით, რესურსების მომჭირნე ხარჯვის აქტიური პოლიტიკის განხორციელებით აუცილებელია უმოკლეს ვადაში დასრულდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნა, ამისათვის შემუშავდეს შესაბამისი საინვესტიციო პოლიტიკა, შემდგომ განვითარდეს რესპუბლიკისთვის ტრადიციული დარგები. კარდინალურ გარდაქმნას საჭიროებს სოფლად საწარმოო ურთიერთობათა სისტემა, რომლის საფუძველიც უნდა იყოს მიწის სავარგულების გადაცემა გლეხობისათვის სამუდამოდ და მემკვიდრეობის უფლებით.

უნდა შემუშავდეს ახალ პირობებში სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლის ფუნქციონირების მარეგლამენტირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების ახალი კრებული. უნდა შეიქმნას სახალხო მეურნეობის მართვის პრინციპულად ახალი გენერალური სქემა. რადიკალური ცვლილებები მოხდება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებაში და შესაბამისად გადასახადთა დაწესების სისტემაშიც.

რესპუბლიკის საფინანსო მდგომარეობის განმტკიცების უცილობელი პირობაა სამომხმარებლო ბაზრის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო შიდარესპუბლიკური სასაქონლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკათშორის გაცვლაში, შესაძლებელს გახდის რესპუბლიკა გავიდეს მსოფლიო ბაზარზე.

იმ პირობებში, როცა თანდათანობით კლებულობს რესურსების ცენტრალიზებული განაწილება, ძალზე აქტუალურია პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთკავშირების დამყარება, განსაკუთრებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მყოფ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან.

უნდა გაიზარდოს ძალისხმევა მომსახურების სფეროსა და მთლიანად დასვენების ინდუსტრიის განვითარებისთვის, რომლებიც დროთა განმავლობაში რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის შევსების ერთ-ერთი მძლავრი წყარო უნდა გახდეს.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა ფართო შესაძლებლობებს უხსნის უცხოეთის ქვეყნებთან პირდაპირი საქმიანი კავშირის განმტკიცებას, მათი კაპიტალის მოზიდვას, ერთობლივი საწარმოების შექმნას და ა. შ. მაგრამ საქმიან შეთანხმებათა დადების გამოცდილების უქონლობის, სათანადო კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობის გამო და რესპუბლიკის ეროვნული ინტერესების შელახვის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია ასეთი ხელშეკრულებები გაფორმდეს კომპეტენტური რესპუბლიკური ორგანოების შუამავლობით.

კითხვა: რამდენს შეადგენს საქართველოდან საქონლისა და წიაღისეულის ექსპორტით მიღებული თანხა, აქედან რამდენი უბრუნდება საქართველოს? გაანგარიშებულია თუ არა სამერმისო რესურსები და რამდენი დაგვრჩა სადღეისოდ წიაღისეული?

პასუხი: საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული საექსპორტო პროდუქციის საერთო მოცულობა 1989 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, შეადგენდა 108583 ათას მანეთს, ანუ გეგმის 98,4 პროცენტს. ამასთან მხოლოდ მისი 4,2 პროცენტის მიწოდება იყო გამიზნული თავისუფლად კონვერტირებული ვალუტის საფასურად. რაც შეეხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ სამინისტროებსა და უწყებებს, მათმა საექსპორტო პროდუქციამ ამ იმავე პერიოდში საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტის 7,9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების ექსპორტის მხოლოდ 3 პროცენტი მოდიოდა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაზე.

საექსპორტო პროდუქციის უდიდესი ხვედრითი წილი მოდის ნედლეულზე, მასალებსა თუ სახალხო მოხმარების საქონელზე, რომლებიც მთელი ექსპორტის 95,9 პროცენტს მოიცავენ. ამ პოზიციაზე მოდის აგრეთვე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის საფასურად მიწოდების 94,7 პროცენტი.

ყველაზე დიდი საექსპორტო მიმწოდებლები არიან საკავშირო ნავთობქიმიური მრეწველობისა და შავი მეტალურგიის სამინისტროების რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები. მათ წილად მოდის საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული საექსპორტო საქონლის ნახევარზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი, რომელსაც საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტი და ცეკავშირი ახორციელებენ, შეადგენს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ექსპორტის საერთო მოცულობის მხოლოდ 22,5 პროცენტს.

საექსპორტო სანედლეულო მასალებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მანგანუმს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უნდა გაგვეტანა 107,5 ათასი ტონა მანგანუმი, მაგრამ მივაწოდეთ მხოლოდ 69 ათასი ტონა. მეცნიერთა შეფასებით, მანგანუმის ამჟამინდელი მარაგი 200413 ათას ტონას შეადგენს. 1987 წელს მიღწეული მანგანუმის ამოღების დონის შენარჩუნებისას ეს მარაგი 100 წელსაც კი არ გვეყოფა. ექსპორტზე ამჟამად წლიური მოპოვების 10 პროცენტი მოდის.

კითხვა: როგორია სასურსათო პროგრამის გადაჭრის პერსპექტივა, რა კეთდება ტალონური სისტემის გაუქმებისათვის?

პასუხი: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა უკიდურეს მძიმე პირობებში. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქონლის და ფრინველის ხორცის წარმოება გაიზარდა 23 პროცენტით, რძისა — 16, კვერცხისა — 42, კარტოფილისა — 12 და ბაღჩეულ-ბოსტნეულისა — 31 პროცენტით.

ამასთანავე, რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების მდგომარეობა მეტად დაძაბული რჩება. ძირითადი სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონე არსებითად ჩამორჩება რეკომენდებულ ნორმებს, აგრეთვე საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. მაგალითად, 1988 წელს ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში გამომუშავებულია 33 კილოგრამი ხორცი და ხორცეული, 137 კილოგრამი რძე და მისი ნაწარმი, მოხმარების ნორმა კი შესაბამისად 67 და 350 კილოგრამს წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ დოტაციას, პროდუქტების ფაქტობრივმა მოხმარებამ შეადგინა: ხორცისა და ხორცეულის — 48 კილოგრამი (ნორმის 72 პროცენტი). რძისა და მისი ნაწარმის — 317 კილოგრამი (86 პროცენტი). ძირითადად ამან გამოიწვია ხორცზე, კარაქსა და ყველზე ტალონური სისტემის შემოღება.

სხვა პროდუქტების ფაქტობრივმა მოხმარებამ 1988 წელს შეადგინა: კვერცხისა — 160 ცალი (ნორმის 57 პროცენტი), ზეთისა — 5,7 კილოგრამი (59 პროცენტი), ბოსტნეულისა და ბაღჩეულის — 91 კილოგრამი (67 პროცენტი), კარტოფილისა — 50 კილოგრამი (45 პროცენტი), ხილისა — 72 კილოგრამი (75 პროცენტი).

საჭირო კალორიების საერთო მოცულობა რესპუბლიკაში ნაზღაურდება ძირითადად პურისა და შაქრის ხარჯზე, რომელთა მოხმარების დონე — 1,4 — 1,5-ჯერ სჭარბობს რეკომენდებულ ნორმებს. ამასთან ეს პროდუქტები ძირითადად შემოგვაქვს საერთო-საკავშირო ფონდიდან.

ბუნებრივია, რომ ამგვარი მდგომარეობის მიზეზი, გარდა ობიექტური ფაქტორებისა, რესპუბლიკის ბუნებრივი და საწარმოო რესურსების არარაციონალური გამოყენებაა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის ივნისის პლენუმზე დაისახა სურსათ-სანოვაგის წარმოების მკვეთრი გაზრდის გზები. ეს არის სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების უპირატესი ზრდა, მისი ოპტიმალური შეფარდება მესაქონლეობის, მებოსტნეობის, მეკარტოფილეობის და ტექნიკური კულტურების განვითარებასთან.

ამჟამად ყალიბდება საქართველოს მოსახლეობის 1991-2005 წლებისათვის სასურსათო მომარაგების თვისებრივი გაუმჯობესების რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამა, რომლის თანახმად ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით მოთხოვნილების დაკმაყოფილება გათვალისწინებულია ხილკენკროვანით 1991 წლისათვის, კარტოფილითა და ბოსტნეულით — 1995 წლისათვის. პროგნოზების მიხედვით, მოსახლეობის მოთხოვნილება კვერცხზე, თევზზე, რძესა და მის პროდუქტებზე 1989 წლის გეგმის დონეზე (860 ათასი ტონა) საერთო-საკავშირო ფონდიდან დოტაციის გათვალისწინებით დაკმაყოფილდება 2000 წლისათვის.

უფრო რთულია მდგომარეობა ხორცის საკითხში. 2000 წლისათვის საქართველოში ხორცის წარმოების მოცულობა 1988 წელთან შედარებით გაიზრდება 1,5-ჯერ და მიაღწევს 290 ათას ტონას. მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე მისი მოხმარება (დამსვენებლებისა და ტურისტების გათვალისწინებით) 1989 წლის (67 ათასი ტონა) დოტაციის დონის შენარჩუნებით არ გადააჭარბებს 55 კილოგრამს წელიწადში.

კითხვა: როგორია ახალგაზრდა სპეციალისტების დაკმაყოფილება სამუშაო ადგილებით?

პასუხი: ამ სფეროში არსებული დისპროპორციების აღმოფხვრის მიზნით 1987-1988 წლების მისაღებმა კონტინგენტმა შესამჩნევი სტრუქტურული და რაოდენობრივი ცვლილებები განიცადა, მეტი ყურადღება ეთმობა სპეციალისტთა მომზადებას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის განხრით.

1988 წელს განაწილდა განაწილებას დაქვემდებარებულ კურსდამთავრებულთა 96,8 პროცენტი, მაშინ როდესაც 1986 წლის შესაბამისი მაჩვენებელი 70,4 პროცენტს შეადგენდა. განაწილებულ კურსდამთავრებულთაგან სამუშაოზე გამოცხადდა 87,1 პროცენტი, ხოლო სამუშაოზე დამკვიდრდა 82,4 პროცენტი.

მინიმუმამდე შემცირდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ განაწილებულ სპეციალისტთა რაოდენობა. მიმდინარე წლიდან სხვა რესპუბლიკებში სამუშაოთი უზრუნველყოფა მხოლოდ კურსდამთავრებულთა სურვილისამებრ მოხდება.

ამის მიუხედავად, სპეციალისტთა მომზადებისა და განაწილების სისტემა ჯერ კიდევ ნაკლოვანია. რესპუბლიკის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სპეციალისტებს ჭარბად ამზადებენ. გეგმით გათვალისწინებული შრომითი მოწყობა უმთავრესად ჭირს ისეთი სპეციალობების განხრით, როგორიცაა, ქიმიური, გეოლოგიური, სამთო, სამშენებლო და სხვანი.

მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლამ გარკვეული სიძნელეები წარმოქმნა სასოფლო-სამეურნეო პროფილის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საკითხებში. ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ აგროსამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა დაწესებულებებში 30 პროცენტით შემცირდა იმ თანამდებობათა რიცხვი, სადაც უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ემუშავათ.

ახალგაზრდა სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშაობს სპეციალობის მიხედვით. როგორც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, გამოკითხული ახალგაზრდა სპეციალისტების მხოლოდ 64,9 პროცენტი მუშაობს სპეციალობის მიხედვით.

გასულ სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში პირველად დაიწყო სპეციალისტების მიზნობრივი მომზადება საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების საფუძველზე. ასე ჩაირიცხა 189 სტუდენტი. ასეთი პრაქტიკის განვითარება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ახალგაზრდა სპეციალისტები.

კითხვა: რა გზებით მივაღწევთ სიტყვისა და საქმის ერთიანობას, სათქმელის „საშინაოდ“ და „საგარეოდ“ დაყოფის აღმოფხვრას?

პასუხი: სიტყვისა და საქმის ერთიანობა ყოველთვის იყო, არის და იქნება პარტიისა და ყველა სხვა ორგანიზაციის, ნებისმიერი მუშაკის მოღვაწეობის უმაღლესი პრინციპი. ეს პრინციპი ხშირად ირღვეოდა და ახლაც ირღვევა, რაც დაუშვებელია. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დემოკრატიზაციამ, გარდაქმნამ ბოლო უნდა მოუღოს ამ მანკიერ მოვლენას. მშრომელებს ამჟამად აქვთ საშუალება ამხილონ ნებისმიერი პირი თუ კი ის ერთს ლაპარაკობს და სრულიად საწინააღმდეგოს აკეთებს. რაც შეეხება „საშინაო“ და „საგარეო“ სათქმელის სხვადასხვაობას, ამას უეჭველად აღმოფხვრის საჯაროობა. ეს პროცესი უკვე ვითარდება როგორც კოლექტივებსა და ორგანიზაციებში, ისე განსაკუთრებით, პრესაში, რადიო და ტელე გადაცემებში. ჭეშმარიტება ერთია და იგი უნდა გამოითქვას ყოველგვარი შელამაზების გარეშე. ხალხი სწორად ინფორმირებული უნდა იყოს საშინაო და საგარეო ცხოვრების ნებისმიერ საკითხსა და პრობლემაზე.

კითხვა: როგორ მიმდინარეობს მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის?

პასუხი: ეს არის სამზადისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, ბრძანებულების გამოქვეყნება არჩევნების შესახებ, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნა, საოლქო და საუბნო კომისიების არჩევა, დეპუტატობის კანდიდატების დასახელება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია ახალი საარჩევნო კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამდენად არჩევნებისათვის მზადება მოიცავს მრავალ ასპექტს: იურიდიულს, ორგანიზაციულს, პოლიტიკურს, იდეოლოგიურს და ა. შ. ამიტომ ვიტყვით მხოლოდ, რომ მომავალი არჩევნების ძირითადი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს მაქსიმალური დემოკრატიზმი, ყოველგვარი არადემოკრატიული ჩარევის გამორიცხვის უზრუნველყოფა საარჩევნო კამპანიაში.

კითხვა: როგორ მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ კონსტიტუციაზე?

პასუხი: რესპუბლიკის ეროვნული კონსტიტუციის იდეა, რაიმე უტოპიას ან შორეულ მომავალში გადასაწყვეტ ამოცანას არ შეადგენს. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ასეთი კონსტიტუციის ცალკეული დებულებების შემუშავებაზე უკვე მუშაობენ შესაბამისი სამუშაო ჯგუფები მეცნიერ-სპეციალისტთა და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მუშაობს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისია, რომელიც შემდგომში მთლიანად გადაერთვება საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაზე.

კანონპროექტთა მოსამზადებელი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებზე პრინციპულად დაისვა საკითხი, რომ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის საბოლოო დამუშავების, საყოველთაოსახალხო და პარლამენტარული განხილვის და მიღების უმთავრესი უფლება აქვს იმ უზენაესი საბჭოს შემადგენლობას, რომელსაც ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე მომავალი წლის გაზაფხულზე ავირჩევთ.

კითხვა: რით შეიძლება ავხსნათ კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის უშედეგობა?

პასუხი: კორუფცია სოციალური მოვლენაა და მის წინააღმდეგ ბრძოლას დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების შედეგად. ამ საქმეში წარმატების მისაღწევად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თვითდაფინანსებაზე გადასვლას, კოოპერატივების მუშაობის შემდგომ აღორძინებას და სრულყოფას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება კომერციული კონკურენცია. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს კორუფციის წინააღმდეგ კომპლექსური ბრძოლის მეთოდების სრულყოფას.

კითხვა: იმასთან დაკავშირებით, რომ პარტია და მთავრობა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გეზს დაადგნენ, როგორია არსებული კანონების მოქმედება დღევანდელ სიტუაციაში?

პასუხი: უკანასკნელი წლების მანძილზე ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდის მხრივ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. დამნაშავეთა სამყარო, გარდაქმნის მოწინააღმდეგე ძალები ქვეყანაში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, ეროვნებათშორის პრობლემებს იყენებენ თავიანთი მიზნებისათვის: ფეხი მოიკიდა რეკეტმა, გაიზარდა არასრულწლოვანთა, რეციდივისტთა, აგრეთვე იმ პირთა მიერ დანაშაულებრივი გამოვლინებები, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.

შეშფოთებას იწვევს ის, რომ მატულობს მძიმე დანაშაულთა რიცხვი, განზრახ მკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაშავება, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღური თავდასხმები და ა. შ.

ამიტომ, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებლად აუცილებელია საგანგებო ღონისძიებები, რაც უნდა უზრუნველყონ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის დროებითმა კომიტეტებმა. სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის გააქტიურება, მძიმე დანაშულის ჩამდენ პირთა, ნარკომანთა, მექრთამეთა, რეციდივისტთა, კორუფცირებულ პირთა მიმართ ყოველგვარი შეუწყნარებლობა, სახალხო სასამართლოთა მიერ მართლმსაჯულების ოპერატიულობის გაზრდა, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენების გამოტანა ხელს შეუწყობს დანაშაულებრივი მოქმედების აღკვეთას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი საშუალება უნდა გახდეს ღრმა ანალიტიკური მუშაობა, რომელიც საშუალებას მისცემს სამართალდამცავ, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დროულად გამოავლინონ კანონიერების დაცვაში არაკეთილსაიმედო უბნები და დასახონ ქმედითი ღონისძიებები მართლწესრიგის განსამტკიცებლად.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას ხელს შეუწყობს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ერთიანი, თანამიმდევრული, ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

დღევანდელ პირობებში მწვავედ დადგა კანონის მიღებისა და განხორციელების საკითხი. წლების მანძილზე კანონი იქმნებოდა არადემოკრატიულ პრინციპებზე, ასეთი კანონები პრაქტიკულად ვერ პოულობდნენ ადგილს. ამის მიზეზია ის, რომ კანონპროექტები მუშავდებოდა უწყებრივად, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად, არამეცნიერულ საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ყოვლად მიუღებელია სამართლებრივ სახელმწიფოში. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის საჭიროა ჩვენს სახელმწიფოში განხორციელდეს შემდეგი:

კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო, მმართველობითი და სამართალდამცავი (სასამართლო) ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა, ურთიერთშეკავშირება სახელმწიფოს და მოქალაქეების უფლება-მოვალეობათა თანასწორობის საფუძველზე.

სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისას აუცილებელია ამაღლდეს კანონის ავტორიტეტი და მისი შესრულების აუცილებლობა. სამართლებრივ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს სახელმწიფო, პარტიული, საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქის საქმიანობა.

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონისა და კანონსდაქვემდებარებული ნორმატიული აქტების მიღება შეიძლება აუცილებლობის შემთხვევაში. ყველაზე მთავარია საკანონმდებლო პროცესის დემოკრატიზაცია. ამიტომ რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები და არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირისაც, უნდა შემუშავდეს საჯაროობის საფუძველზე, ემყარებოდეს კომპეტენტურ მეცნიერულ ანალიზს და მისი განხილვა ხდებოდეს ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

კითხვა: როგორ მიმდინარეობს მუშაობა მოქალაქის სტატუსის ჩამოყალიბებისათვის?

პასუხი: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 20 ივნისის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფში თავდაპირველად 7 წევრი იყო, შემდეგ კიდევ 4 წევრი შეემატა.

კანონპროექტის შემმუშავებელმა ჯგუფმა გამართა მრავალი სხდომა, განიხილა რესპუბლიკის პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წინადადებები, აგრეთვე კანონპროექტის საკვანძო საკითხები, შეიმუშავა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 31-ე მუხლის ცვლილების პროექტი. გადაწყდა, რომ შემუშავდეს კანონპროექტი საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ.

გაზეთ „კომუნისტის“ პარტიულ-იდეოლოგიური მუშაობის განყოფილება.

მხოლოდ სიმართლე

კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, თუ...

წერილი მეორე

ამის შესახებ, თუ როგორ ესახებოდათ მენშევიკებს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შემდგომი ურთიერთობა, ლაპარაკია დეპეშაში, რომელიც ნოე ჟორდანიამ გაუგზავნა გრ. ურატაძეს სამშვიდობო ხელშეკრულების დადების მესამე დღეს, ე. ი. 1920 წლის 10 მაისს: „საქართველოს წარმომადგენელს მოსკოვში გრ. ურატაძეს. მოგილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადებას. გადაეცით „სოვნარკომს", რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილებით და აღტაცების გრძნობით შეხვდა. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან რუსეთსა და საქართველოს შორის მოისპობა ყოველივე გაუგებრობა და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. სალამი მეგობრებს, ამხანაგებსა და ნაცნობებს. ნოე ჟორდანია". (ციტირებულია აკაკი სურგულაძისა და ავთანდილ მენთეშაშვილის პუბლიკაციიდან „რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება" — გაზ. „კომუნისტი", 1989 წლის 8 ივნისი).

როგორც ვხედავთ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას ნ. ჟორდანია ერთობ ოპტიმისტურად უყურებს. იგი იმედოვნებს, რომ მომავალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა რუსეთი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავებენ ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად.

უნდა ვიფიქროთ, ნ. ჟორდანიას არ ეცოდინებოდა იმ დეპეშის შინაარსი, რომელიც ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა 1920 წლის 4 მაისს გაუგზავნეს გ. კ. ორჯონიკიძეს საქართველოს ფარგლებიდან წითელი არმიის ნაწილების გამოყვანის თაობაზე, მაგრამ იმაში კი ალბათ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ 7 მაისის შემდეგ საბჭოთა აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ჯარის ნაწილები შეწყვეტდნენ საომარ მოქმედებას და უკან გაბრუნდებოდნენ. მაგრამ, ეს ასე არ მოხდა. საომარი ოპერაციები ამის შემდეგაც გრძელდებოდა, რასაც ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა (სათანადო ცნობები ქვეყნდებოდა იმდროინდელ პრესაში). საქართველოს სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი 7 მაისის შემდეგაც იძულებული იყვნენ იარაღით აღედგინათ და შეენარჩუნებინათ რესპუბლიკის საზღვარი. უკანასკნელი გაბრძოლება 16 მაისს მოხდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყდა ბრძოლები. „აზერბაიჯანის მთავრობა საქართველოს მთავრობას აცნობებს, რომ მათ 16 მაისიდან შესწყვიტეს ყოველგვარი საომარი მოქმედება" — იტყობინებოდა მთავრობის მოამბე „საქართველოს რესპუბლიკა" 1920 წლის 20 მაისს.

და მაინც ძნელია ახსნა, თუ რატომ 4 მაისიდან, მით უფრო 7 მაისიდანვე არ შეწყდა საომარი მოქმედება, საქართველოს საზღვრებს მაისის მეორე ნახევარშიც კვლავ რატომ ემუქრებოდა საშიშროება, საბჭოთა აზერბაიჯანიდან რომელი სამხედრო ძალა უტევდა საქართველოს?

ასევე ძნელია იმის დაჯერებაც, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო და მე-11 წითელი არმიის ხელმძღვანელობა ანგარიშს არ უწევდნენ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას. ერთი კი უნდა ითქვას. ამ ხელშეკრულებას ზოგიერთი იმდროინდელი მოღვაწე (მათ შორის ქართველი ბოლშევიკებიც) არცთუ უსაფუძვლოდ თავიდანვე დროებით მოვლენად, საბჭოთა რუსეთის იძულებით მანევრად მიიჩნევდნენ. გ. კ. ორჯონიკიძემ ლ. დუმბაძესთან პირდაპირი მავთულით ერთ-ერთი საუბრის დროს თქვა:

„რუსეთისა და მენშევიკური საქართველოს დაზავება მიჩნეულია შესვენებად, რომელიც ლენინს სჭირდებოდა პოლონეთის ფრონტის სწრაფი ლიკვიდაციისა და იმისათვის, რომ პროვოკაციები აღეკვეთა." (მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 311, ფურც. 1).

ბევრი გულწრფელად ფიქრობდა ასე. გარდა ამისა, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს საზავო ხელშეკრულების ასეთი შეფასებით ამშვიდებდნენ იმ ქართველ ბოლშევიკებს, რომლებმაც უარყოფითად შეაფასეს ეს ხელშეკრულება და რომელთა აზრით დაზავებამ დაღუპვისაგან გადაარჩინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ბ. მ. კვირკველიამ და ლ. დუმბაძემ (იყვნენ სხვებიც) გ. კ. ორჯონიკიძესთან პირდაპირი მავთულით საუბრის დროს განაცხადეს: „დაზავების აქტით ჩვენ არამარტო განვამტკიცეთ მენშევიკი გაიძვერების პოზიციები, არამედ შევასუსტეთ კიდეც განუწყვეტლივ მზარდი რევოლუციური ტალღა მასებში, რადგან საბოლოოდ შევურყიეთ საბჭოთა რუსეთისადმი რწმენა და იმედი. ამის შესახებ აცნობეთ ცენტრს, რომ დაზავების ერთ-ერთ პირობად მაინც მოსკოვმა მოითხოვოს პარტიის ლეგალიზაცია, დაპატიმრებულთა განთავისუფლება და ჩვენი იმ ამხანაგების დევნის შეწყვეტა, რომლებიც ბატონმა რამიშვილმა ამოსაწყვეტად და სატანჯველად გასწირა, რომ ამით მაინც ნაწილობრივ შევიმსუბუქოთ დანაშაული მათ წინაშე და გავიადვილოთ მომავალში მუშაობის პირობები".

1920 წლის 30 აგვისტოს ს. მ. კიროვმა დაუდასტურა გ. ვ. ჩიჩერინს: „ხელშეკრულების დადების ფაქტმა, მართლაც რომ მეტად უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ ამხანაგებზე".

ს. მ. კიროვი მართალს ამბობდა. საქმე ის იყო, რომ ქართველ ბოლშევიკთა უმრავლესობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დღეები 1920 წლის მაისისათვის უკვე დათვლილად მიაჩნდათ. „მენშევიკები იმდენად უძლურად გრძნობდნენ თავს, რომ ისინი მოხარული იქნებიან უკიდურეს შემთხვევაში დამოუკიდებლობის იურიდიული მოჩვენებითობა მაინც შეინარჩუნონ, მოგვცემენ რა ფაქტიურ უფლებას ჩავერიოთ მათ შინაურ საქმეებში", — აუწყებდა ამ დღეებში ბ. მ. კვირკველია გ. კ. ორჯონიკიძეს.

ერთი სიტყვით, ქართველი ბოლშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ, და ეს ბუნებრივიცაა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიეღოთ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს მათთვის არასასურველი დაზავებისაგან. კიდევ უფრო ოპტიმისტურია გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის დეპეშა, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს გაეგზავნა ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს და გ. ვ. ჩიჩერინს. გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს გარეშე აზერბაიჯანის შენარჩუნება შეუძლებელია, ის აგრესიულ ზომებს იღებს აზერბაიჯანის წინააღმდეგ, „ხელს გვიშლის კავკასიაშიო" და ასკვნიდნენ: „ჩვენი აზრით საქართველოსთან ზავის დადების პირობად უნდა იყოს აუცილებელი მოთხოვნა იმისა, რომ საქართველოში გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენი ცნობებით მენშევიკები მზად არიან დათანხმდნენ ამას, ოღონდ ბევრს იფაჭრებენ". (მლი ცპა, ფ. 461, საქ. 33507, ფურც. 2).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საბჭოთა რუსეთს ზავის პირობად არ წამოუყენებია. იგი უკვე თვით იყო დაინტერესებული, რომ საზავო მოლაპარაკება აღარ გაჭიანურებულიყო. „ჩვენი ნაწილებისა და აგრეთვე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთი გამოსვლა რომ არ გვირევდეს კარტს და არ გვიშლიდეს ჩვენი პოლიტიკის გატარებას, ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იქნებოდა" — თითქოს გულისტკივილით ატყობინებდნენ ი. ბ. სტალინი და ა. ს. ენუქიძე გ. კ. ორჯონიკიძეს, ამასთან ურჩევდნენ მას დაერწმუნებინა „როგორც საქართველოს სასაზღვრო ნაწილები, ისე სხვა მეამბოხეები საქართველოს შიგნით, რომ ნუ აჩქარდებიან გამოსვლაში... როგორც ჩვენი, ისე აზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი მოქმედება არ იქნება და ჩვენ ხვალვე დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან... როგორც სომხეთის, ისე საქართველოს მიმართ აზერბაიჯანმა უნდა დაიკავოს თავისი ტერიტორიის თავდაცვის უმკაცრესი პოზიცია, მთელი ძალებით დაიცვას საზღვრები".

ყველაფრიდან ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთმა ამჯერად ნაადრევად მიიჩნია საქართველოს გასაბჭოება. მართალია, გ. კ. ორჯონიკიძე არწმუნებდა მოსკოვს მენშევიკები შეიძლება დათანხმდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებაზეო, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა არც ამ დიპლომატიურ ხერხს მიმართა მაშინ. „ის, რასაც შენ ამბობ საქართველოს მთავრობაზე, აბსოლუტურად სწორია, — ეუბნებოდა ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით გ. კ. ორჯონიკიძეს,— მაგრამ ვითარება ისეთია, რომ... ახლა საქართველოს მიმართ აჩქარების — მისი საბჭოურად გარდაქმნის აზრით — მომხრე ჩვენ არ ვართ. სულ ერთია, რამდენიმე თვის შემდეგ, თუ კომუნისტები ლეგალიზებული იქნებიან, იგი ისედაც საბჭოთა რესპუბლიკა გახდება, მას სხვა გზა არა აქვს".

სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად საქართველოს კომუნისტებს მართლაც მიეცათ ლეგალური მოღვაწეობის საშუალება. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, თუმცა მან მაინც ვერ უზრუნველყო ქართული მოსახლეობის უმრავლესობის აქტიური მხარდაჭერა კომუნისტებისათვის. საბჭოთა რუსეთისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების ის მუხლიც, რომლის თანახმად საქართველოს ტერიტორია უნდა განთავისუფლებულიყო საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი შეიარაღებული ძალებისაგან (მაგ., ინგლისელთა საოკუპაციო ჯარები ბათუმის ოლქში და სხვ.) და არ გადაქცეულიყო იგი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

ცოტათი უკან დავბრუნდეთ. მოვიგონოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთზე ადრე თურქეთმა, გერმანიამ და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომაც აღიარეს. გერმანია, მაგალითად, გასაგები მიზეზების გამო, იმაზეც კი ზრუნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა თვით საბჭოთა რუსეთს ეცნო. ზურაბ ავალიშვილის მოწმობით, გერმანიის წარმომადგენელი საქართველოს დელეგაციას 1918 წლის ივნისში ასეთ რჩევას აძლევდა: „ვეცადოთ, ბაქოს ნავთის სამრეწველო რაიონი სავსებით არ ჩამოშორდეს რუსეთს; მათის აზრით მაშინ გაადვილდება რუსეთის მიერ საქართველოს ცნობა. ვფიქრობ, რომ ეს მოსაზრებანი, — განაგრძობს ზ. ავალიშვილი, — ძლიერ საყურადღებოა. ისინი გვიჩვენებენ, გერმანიის დიპლომატიის პრაქტიკულ ცდას გამონახონ მოსკოვისა და თბილისის მთავრობათა შორის რაიმე საკომპრომისო გზა. ჩხენკელს კი არ მოსწონს: „ჩვენ, — ამბობდა იგი, — რუსეთმა ისედაც უნდა გვიცნოს, ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქონდა, ჩვენ არ დავუპყრივართ, როგორც კავკასიის ნაწილები" და სხვ.". (ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა (1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები, პარიზი, 1924. ქართ. თარგ. თბ., 1925, გვ. 116).

საბჭოთა რუსეთის ეკონომიკური, სამხედრო ძლიერების შესუსტებისა და საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოების მომხრე გერმანია ნამდვილად იყო მოწადინებული, რომ რუსეთს ჩამოშორებოდა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასიაც. მანამ ძალა შესწევდა, იგი გარკვეულ ნაბიჯებსაც დგამდა, რასაც, ბუნებრივია, საბჭოთა რუსეთის მთავრობის მხრივ სათანადო რეაგირება მოჰყვებოდა. „ყუბანის რესპუბლიკა რუსეთის ნაწილია, — სწერდა ი. ბ. სტალინი გ. ვ. ჩიჩერინს 1918 წლის 5 ივლისს, — დაჟინებით უნდა მოვითხოვოთ ყუბანის, როგორც რუსეთის ნაწილის, ხელშეუხებლობა. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ვცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, ოღონდ კი გერმანიამ ოფიციალურად აღიაროს, რომ ყუბანის, სომხეთის, აზერბაიჯანის საკითხი საშინაო საკითხია რუსეთისა, სადაც გერმანელებმა ცხვირი არ უნდა ჩაყონ". (მლი ცპა, ფ. 558, აღწ. I, საქ. 241).

დავიმოწმოთ რამდენიმე ადგილი ი. ბ. სტალინის კიდევ ერთი წერილიდან, რომელიც მან 1918 წლის 8 ივლისს გაუგზავნა ბაქოს კომუნის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ს. გ. შაუმიანს. „რადგან დრო ცოტა მაქვს, პირდაპირ საქმით ვიწყებ... ამიერკავკასიის საკითხზე ჩვენი საერთო პოლიტიკაა ვაიძულოთ გერმანელები, რომ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საკითხები აღიარონ რუსეთის საშინაო საკითხებად, რომელთა გადაწყვეტაში გერმანელები არ უნდა მონაწილეობდნენ. სწორედ ამიტომ ჩვენ არ ვცნობთ გერმანიის მიერ ცნობილ საქართველოს დამოუკიდებლობას.

2. შესაძლებელია, რომ გერმანელებს დავუთმოთ საქართველოს საკითხში, მაგრამ ამ დათმობაზე ჩვენ წავალთ ბოლოს მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ აღიარონ გერმანიის ჩაურევლობა სომხეთისა და აზერბაიჯანის საქმეებში.

3. გერმანელები თანახმანი არიან დაგვიტოვონ ბაქო და გვთხოვონ ეკვივალენტად დავუთმოთ ნავთობის რაღაც რაოდენობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ ეს „თხოვნა".

4. თქვენი წარმატებანი გვახარებს, მაგრამ გვინდა, რომ გერმანელებთან გართულების თავიდან ასაცილებლად, ელიზავეტპოლს არ გასცდეთ, ე. ი. არ შეიჭრათ საქართველოს ფარგლებში, რომლის დამოუკიდებლობაც გერმანიამ ოფიციალურად ცნო...

ნათქვამი მიიღეთ არა როგორც ჩემი პირადი აზრი, არამედ როგორც ლენინის წინადადება. მას გუშინ პირდაპირი მავთულით ველაპარაკე ყველა საკითხზე, რომელსაც კი აქ შევეხე.

გაცნობებთ, რომ მემარცხენე ესერთა პარტიამ (თავისი ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით) მოკლა მირბახი და მამლაყინწური აჯანყება მოგვიწყო მოსკოვში. აჯანყება ჩახშობილია, მაგრამ რა ვიცით რას და როგორ უპასუხებს გერმანია ამ აქტს. მემარცხენე ესერებს მოსკოვში აპატიმრებენ, ხდება მათი რაზმების განიარაღება. მიიღეთ ზომები, რომ თავიდან აიცილოთ ექსცესები გერმანიის წინააღმდეგ ომის ამ უბადრუკ პროვოკატორთა მხრივ. აბა, ხელს გართმევ. მოკითხვა მეგობრებს. ი. სტალინი. ცარიცინი. 1918 წლის 8 ივნისი". (ს. გ. შაუმიანი. სტატიები და სიტყვები. 1917-1918 წწ. ბაქო, 1929, (რუს.), გვ. 292-293. ამ კრებულში ბარათის დაწერის თარიღად შეცდომით 8 ივნისია მითითებული. მომდევნო გამოცემებში სპეციალისტებმა დააზუსტეს, რომ ბარათი დაიწერა 1918 წლის 8 ივლისს).

ი. ბ. სტალინის ხელიდან გამოსული ეს დოკუმენტები საინტერესოა მრავალმხრივ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას. მათი ანალიზი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო კონიუნქტურის მიხედვით წყვეტდა. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ 1918 წლის ივლისში ი. ბ. სტალინი (და, როგორც იგი აღნიშნავდა, ვ. ი. ლენინიც) რუსეთისაგან ფაქტობრივად ჩამოშორებულ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს კვლავ რუსეთის ნაწილებად მიიჩნევს, თუმცა თვლის, რომ იმავე საერთაშორისო ვითარების გამო საბჭოთა რუსეთს შეუძლია დაუთმოს გერმანიას მხოლოდ და მხოლოდ „საქართველოს საკითხში". ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ საბჭოთა რუსეთი ამ დროს ურიგდება (დროებით მაინც) საქართველოს დამოუკიდებლობას. იმისათვის, რომ არ გართულდეს საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის იმ დროს არსებული ურთიერთობა, ი. ბ. სტალინს მიზანშეუწონლად მიაჩნია ბაქოს კომუნის სამხედრო ძალების შეჭრა გერმანიის მიერ უკვე ოფიციალურად ცნობილ საქართველოში.

უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ. ი. ბ. სტალინი რუსეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი უაღრესად გავლენიანი ხელმძღვანელი იყო. რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ყველა არარუსულ და არასაბჭოთა რესპუბლიკას, მათ შორის დემოკრატიულ საქართველოსაც, იგი სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა რუსეთის ინტერესების პრიზმით უყურებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმ მოძღვრებისა და იმ ქვეყნის რენეგატის როლში აღმოჩნდებოდა, რომელთაც გულწრფელად ემსახურებოდა მთელი თავისი სიცოცხლე. ი. ბ. სტალინი ყველაზე მაღლა აყენებდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს, რომლებიც მისი ღრმა რწმენით, სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ხალხთა სწორადგაგებულ ეროვნულ ინტერესებსაც. რუსეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთავარი საზრუნავი ყოველთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, საბჭოთა ქვეყნის გადარჩენა, მისი გაძლიერება და სოციალიზმის მშენებელ სახელმწიფოთა გეოგრაფიის გაფართოება იყო. ამ სტრატეგიული ამოცანის განხორციელების ინტერესები განსაზღვრავდნენ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ამავე მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ, პარტიის ეროვნული პოლიტიკა, რომლის განხორციელებაში ი. ბ. სტალინმა ერთობ დიდი წვლილი შეიტანა. აქ, მიუხედავად უდიდესი პოლიტიკური გამოცდილებისა, ი. ბ. სტალინი შეიძლებოდა შემცდარიყო (და არაერთხელ შეცდა კიდეც, განსაკუთრებით, სსრ კავშირის შექმნისა და მომდევნო პერიოდში), ან არ შემცდარიყო, მაგრამ მას არ ჰქონდა არანაირი უფლება თუნდაც ოდნავ უგულებელეყო საბჭოთა რუსეთის ინტერესები, არ განეხორციელებინა ის პოლიტიკა, რომელიც მისი აზრით მთელ მსოფლიოსთან დაპირისპირებულ საბჭოთა რუსეთისათვის იყო ხელსაყრელი. ასეთი იყო ი. ბ. სტალინის არა მარტო როგორც პარტიული და საბჭოთა ლიდერის, არამედ მისი, როგორც ინდივიდის, მრწამსი, სამოქმედო პროგრამა. სწორედ ეს გახლდათ არარუსი სტალინის ფენომენის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი.

და მაინც, ი. ბ. სტალინს ასეთი მოჭარბებული, მეტისმეტი, მისებურად გაგებული გულმოდგინება რომ არ გამოეჩინა რუსეთისადმი, იქნებ უმჯობესი ყოფილიყო პირველ რიგში თვით რუსეთის, ხოლო შემდეგ რუსეთთან დაკავშირებული რესპუბლიკებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, დანარჩენი მსოფლიოსთვისაც. მაგრამ, ალბათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში ი. ბ. სტალინი იძულებული იყო მხოლოდ ეს გზა აერჩია. არარუსული წარმომავლობა რუსეთის ჯერ ერთ-ერთი, შემდეგ კი ერთპიროვნული ხელმძღვანელისათვის დამოკლეს მახვილის როლს ასრულებდა. ეს მომენტი უთუოდ ბევრ რამეს განაპირობებდა ი. ბ. სტალინის მოღვაწეობაში.

ჩვენ ზოგადად დავახასიათეთ ვ. ი. ლენინისა და პარტიის სხვა ლიდერთა პოზიცია, რომელიც მათ საქართველოს მიმართ ეკავათ 1920 წლის მაისში, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო მოლაპარაკების დროსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მომდევნო დღეებში. ეს პოზიცია იმ ეტაპზე დაადასტურა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პრეზიდიუმმა, რომელმაც 1920 წლის 15 ოქტომბერს განიხილა საკითხი „იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ საქართველოში" და დაადგინა: „თანამედროვე მომენტით ნაკარნახევი ქცევის წესი მშვიდობის პოლიტიკაა" (მლი ცპა, ფ. 17, აღწ. 2, საქ. 232, ფურც. 1).

ახლა ვნახოთ რა ხდება სომხეთის გასაბჭოების შემდეგ. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება 1920 წლის ნოემბრის დამლევს დამყარდა. მთელს კავკასიაში მარტო საქართველო დარჩა გაუსაბჭოებელი, რაც საზრუნავს უქმნიდა როგორც საბჭოთა რუსეთსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, ისე და უფრო მეტად, თვით საქართველოსაც. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ყველა გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდებოდა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში, საქართველოშიც შეიცვლებოდა საზოგადოებრივი წყობილება. სხვა გამოსავალი არ ჩანდა და, საფიქრებელია, ამას კარგად ხედავდა თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც, რომელიც სომხეთის მაგალითს აუცილებლად უნდა დაეფიქრებინა.

და მართლაც, ჯერ კიდევ სომხეთის გასაბჭოებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობაში კვლავ გაჩნდა აშკარა უნდობლობის ელემენტები. 1920 წლის 26 ოქტომბერს ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინს აცნობა: „საქართველო ემზადება ჩააბაროს ანტანტას ბათუმი და, შეიძლება უკანდახევი გზაც კი გაუხსნას ვრანგელს, აგრეთვე ბაქოს მიმართულებით შეტევისთვისაც" (ა. ირემაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 325; ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 676, 72-ე შენიშვნა).

„უეჭველად მიმაჩნია, — უდეპეშებდა ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს 1920 წლის 29 ოქტომბერს, — რომ საქართველო ბათუმს მისცემს ანტანტას, ალბათ, საიდუმლოდ, და რომ ანტანტა გამოილაშქრებს ბაქოს წინააღმდეგ. მოიფიქრეთ და საჩქაროდ მოუმზადეთ ბაქოს სახმელეთო და საზღვაო მისადგომების გამაგრების, მძიმე არტილერიის მიზიდვის ზომები და სხვ. გვაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილება" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 441).

ამ პერიოდისათვის საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელ წრეებში მართლაც ფიქრობდნენ, რომ ინგლისის შეიარაღებული ძალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით კვლავ მოახდენდნენ ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაციას, რაც, ცხადია, აშკარად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ქვეყნის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ ვ. ი. ლენინმა საჭიროდ მიიჩნია კონტრზომების მიღება. „...საკმარისია თუ არა კავკასიის ფრონტზე დანიშნული მაშველი ძალები? შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა საქართველოსთან და სომხეთთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარება და რა საფუძველზე? შემდეგ, სავსებით სერიოზულად მიმდინარეობს თუ არა ბაქოს მისადგომთა გამაგრების სამუშაოები? გთხოვთ აგრეთვე ცნობებს თურქეთისა და სპარსეთის შესახებ მოკლედ დეპეშით, უფრო დაწვრილებით — წერილით" — სწერდა ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს 1920 წლის 13 ნოემბერს (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 492).

ორი დღის შემდეგ, 1920 წლის 15 ნოემბერს ი. ბ. სტალინმა ბაქოდან კვლავ გაუგზავნა დეპეშა ვ. ი. ლენინს, რომელსაც აცნობებდა, რომ აუცილებელი იყო კავკასიის ფრონტის დამხმარე ძალების გაძლიერება ბაქოს წარმატებით დასაცავად საქართველოს მხრივ შესაძლო თავდასხმისაგან (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 677, მე-80 შენიშვნა).

ვ. ი. ლენინისათვის ბაქოდან გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში კი ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „თუ ანტანტა დაიკავებს ბათუმს... მაშინ ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე, დავიკავოთ თბილისი და ავაფეთქოთ გვირაბი სურამის გადასასვლელთან, ე. ი. საჭიროა ვაწარმოოთ აქტიური თავდაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დავკარგავთ ელიზავეტპოლს... და შეიძლება დავკარგოთ ბაქოც.". ამ დროს თურქეთი საბჭოთა რუსეთს იარაღს სთხოვდა. საბჭოთა მთავრობა თურქეთისათვის იარაღის მიწოდების ერთ-ერთ პირობად თვლიდა, რომ თურქებს ეკისრათ „ანტანტის განდევნა ბათუმიდან, თუ იგი იქ შევა". შემდეგ ი. ბ. სტალინი გ. ვ. ჩიჩერინს აცნობებდა, რომ „...საჭიროა ახლავე შევაგროვოთ ძალები საქართველოში შესაჭრელად იმ მომენტში, როცა ბათუმი იქნება ოკუპირებული ანტანტის მიერ..." მოსკოვიდან კი ი. ბ. სტალინს აცნობებს, რომ „გადაწყვეტილების მიღება საქართველოს საზღვრებში შესვლის შესახებ ნაადრევია". ი. ბ. სტალინი თავის აზრს არ იცვლის. იგი ვ. ი. ლენინს აცნობებდა, რომ შექმნილ ვითარებაში „არსებობს ერთად ერთი გზა — დავიკავოთ თბილისი და... სურამის უღელტეხილი".

საბჭოთა მთავრობამ დიპლომატიური გზითაც სცადა საკითხის მოგვარება. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა 1920 წლის 16 ნოემბერს რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელს გ. მახარაძეს გაუგზავნა ნოტა, ხოლო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს კერზონს — რადიოდეპეშა. გ. ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მთავრობას ბათუმის ოკუპაცია მიაჩნია კავკასიაში ახალი ომის გაჩაღებისა და საბჭოთა რესპუბლიკის უშიშროებისათვის პირდაპირი მუქარის შექმნის ცდად. გ. ჩიჩერინი სერიოზულ ყურადღებას მიაპყრობდა ამასთან დაკავშირებულ მძიმე შედეგებს, რომელთა გამო პასუხისმგებლობა, აღნიშნავდა იგი, მთლიანად დაეკისრებოდათ ოკუპანტებსა და მათ ხელშემწყობებს (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 765, მე-13 შენიშვნა).

ამავე პერიოდში (არა უგვიანეს 20 ნოემბრისა) ვლადიკავკაზში მყოფმა ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინს პირდაპირი მავთულით გადასცა გ. კ. ორჯონიკიძისაგან მიღებული ინფორმაცია ამიერკავკასიაში, თურქეთსა და სპარსეთში იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. გ. კ. ორჯონიკიძე იტყობინებოდა, ინგლისი ხრიკებს მიმართავს ამ რაიონში, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ემუქრება საბჭოთა აზერბაიჯანს, ანტანტა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეშვეობით ამზადებს ომს საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგო. იყო ცნობა თურქების მიერ სომხეთის ოკუპაციის საფრთხის შესახებაც. ი. ბ. სტალინი სთხოვდა ვ. ი. ლენინს დაეჩქარებინა საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვრების დაცვისათვის საჭირო მაშველი ძალების გამოგზავნა და საერთოდ მიეცა მითითებები ყველა დასმულ კითხვაზე. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 678 (83-ე შენიშვნა; ვ. ი. ლენინი, თსკ (რუს.), ტ. 52, გვ. 347, 22-ე შენიშვნა).

„პოლიტბიუროს მოუწვევლად, — აღნიშნა ვ. ი. ლენინმა ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით საუბარში, — არავითარი პასუხის მოცემა არ შემიძლია. გირჩევთ, ან ახლავე შემოიტანოთ კონკრეტული წინადადება და დაუყოვნებლივ დააყენოთ პოლიტბიუროში, ან თვითონვე იმოქმედოთ სტალინისთვის მიცემულ რწმუნებათა ზუსტი შესაბამისობით, ანდა, ბოლოს, დააჩქაროთ თქვენი ჩამოსვლა მოსკოვში მთლიანად მთელი კავკასიის საკითხის გადასაწყვეტად. ყოველ შემთხვევაში აუცილებელია გაძლიერდეს და დაჩქარდეს მაშველი ძალების მიყვანა. მაცნობეთ, სახელდობრ როგორია თქვენი გადაწყვეტილება" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 437).

აი, ი. ბ. სტალინის გადაწყვეტილებაც: „ლენინს. პასუხი ბარათზე, ამაღამ მოვდივარ მოსკოვში. ორჯონიკიძეს განკარგულებას ვაძლევ აწარმოოს მოსამზადებელი მუშაობა და ელოდოს მითითებებს მოსკოვიდან. ფრონტს მოველაპარაკები გადმოყვანის დაჩქარების შესახებ" (იქვე).

ინგლისთან მიმართებაში ბათუმ-საქართველოს საკითხს ვ. ი. ლენინი შეეხო გ. ვ. ჩიჩერინისადმი 1920 წლის 19 ნოემბერს გაგზავნილ ბარათშიც. ამ დროს საბჭოთა რუსეთი უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ინგლისთან სავაჭრო მოლაპარაკებას, რასაც ლონდონში ლ. კრასინი ეწეოდა, მით უფრო, რომ მიღებული ცნობების თანახმად ამერიკა „მაშინვე შეუერთდებოდა" რუსეთისა და ინგლისის სავაჭრო შეთანხმებას. ამასთან საბჭოთა რუსეთი იღებდა ზომებს, რომ სავაჭრო შეთანხმების საფასურად მეფისდროინდელი ვალები არ დაეკისრებინათ მისთვის. ერთი სიტყვით, საბჭოთა რუსეთისა და ინგლისის ურთიერთობაში გარკვეული კეთილი საწყისები ჩნდება. ორივე ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები არღვევენ იდეოლოგიურ ბარიერებს. ასეთ ვითარებაში ძნელია ვთქვათ, თუ რამდენად რეალური იყო ინგლისის მიერ ბათუმის ოკუპაციის (როგორც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის ბრძოლის პლაცდარმის) ახალი ცდის საფრთხე, რის შესახებაც ი. ბ. სტალინი და გ. კ. ორჯონიკიძე იტყობინებოდნენ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც ასეთი შესაძლებლობა იყო გამორიცხული. გარდა ამისა, ამიერკავკასიიდან მიღებული ცნობების ანგარიშგაუწევლობა და მათი სრულიად უყურადღებოდ დატოვებაც არ შეიძლებოდა. ასეა თუ ისე, ვ. ი. ლენინი სწერს გ. ვ. ჩიჩერინს, რომ თუ საკითხი ასე დგას: ომი თუ მშვიდობა, „იგი უნდა დაუკავშირდეს ბათუმსა და საქართველოს" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 10).

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით კატეგორიულად არც იმის თქმა შეიძლება, თუ მოვლენათა როგორი განვითარება იგულისხმება ვ. ი. ლენინის ამ ფრაზაში, კონკრეტულად როგორ უნდა დაეკავშირებინათ ბათუმისა და საქართველოს საკითხი ომისა და მშვიდობის საკითხთან.

ერთი კი ცხადია: აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუსაბჭოებელი საქართველო გარკვეულ დისონანსს ქმნიდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა აღმოეფხვრა ეს „დისონანსი". იგი ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ საქართველოს მშრომელები ამ ეტაპზე აქტიურად არ გამოდიოდნენ რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ და მიაჩნდა, რომ 1920 წლის დამლევსაც შეიძლებოდა წითელი არმიის მიერ საქართველოს გასაბჭოება. კავბიუროსა და XI წითელი არმიის ხელმძღვანელობა საბაბს ეძებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დასაწყებად. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც აზვიადებდნენ ინგლისის მიერ ბათუმის ხელახალი ოკუპაციის საფრთხეს და სწორედ ამ „საფრთხით" ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ცენტრი საქართველოს გასაბჭოების აუცილებლობაში.

ცენტრი კი ამჯერადაც თავს იკავებდა. საქართველოს გასაბჭოებაზე იგი საბოლოოდ ხელს არ იღებდა, მაგრამ ცდილობდა, რომ ამას საერთაშორისო გართულება არ მოჰყოლოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ვ. ი. ლენინისადმი ლ. დ. ტროცკის 1920 წლის 30 ნოემბრის წერილი, რომელიც პროფესორმა გრიგოლ ქვანიამ ავტორის დაუსახელებლად დაიმოწმა თავის საყურადღებო სტატიაში, „კომუნისტმა" რომ 1989 წლის 11 აგვისტოს გამოაქვეყნა. ლ. დ. ტროცკი აღნიშნავდა: „...კავკასიაში რომ ომი წამოვიწყოთ, კერძოდ, საქართველო რომ დავიკავოთ, ამის უახლოესი შედეგი იქნება ანტანტასთან ჩვენი ურთიერთობის უეჭველი გამწვავება. ანტანტა, უპირველეს ყოვლისა, გააძლიერებს მუშაობას იმისათვის, რომ ჩვენს წინააღმდეგ აამხედროს ყველა ჩვენი დასავლეთელი მეზობელი, ფინეთით დაწყებული და რუმინეთით გათავებული. ამასთან ის კარგ ნიადაგს პოვებს იმიტომ, რომ საქართველოს მხარეს ჩვენ მოსაზღვრე წვრილ-წვრილ ქვეყნებს გარდაუვლად გაუღვიძებს ჩვენი პოლიტიკისადმი უნდობლობას, თავისი ბედ-იღბლისათვის შიშს და ამით უბიძგებს მათ ჩვენ წინააღმდეგ გასაერთიანებლად". რასაკვირველია, არც ის იყო შემთხვევითი, რომ ვ. ი. ლენინმა ამ ბარათზე წააწერა „სტალინს".

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ამ ეტაპზე არ ცვლის თავის პოლიტიკას საქართველოს მიმართ. 1920 წლის 15 დეკემბერს ვ. ი. ლენინი გაეცნო გ. კ. ორჯონიკიძის მიერ იმავე დღეს ბაქოდან გამოგზავნილ დეპეშას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, კავკასიის ფრონტის წარმომადგენლებისა და პარტიული და საბჭოთა მუშაკების მონაწილეობით მიიღო დადგენილება საქართველოს საზღვრების გადალახვის შესახებ. იმავე დღეს ვ. ი. ლენინმა და ლ. დ. ტროცკიმ აცნობეს გ. კ. ორჯონიკიძეს:

„ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს. ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ დართავს ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ გადაწყვეტილების შესრულების შეჩერებას და გაუქმებას" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 44, გვ. 373. ამ ტომში, ისევე როგორც ვ. ი. ლენინის თსკ (რუს.) 51-ე ტომში დეპეშის თარიღად შეცდომით მითითებულია „1920 წლის არა უადრეს 7 — არა უგვიანეს 12 მაისისა". როგორც სპეციალისტებმა დაადგინეს, დეპეშის ზუსტი თარიღია 1920 წლის 15 დეკემბერი (იხ. ვ. ი. ლენინი. ბიოგრაფიული ქრონიკა. ტ. 9 (რუს.), გვ. 562).

ასე. მოსკოვმა ერთხელ კიდევ აუკრძალა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ხელმძღვანელობას ძალით გაესაბჭოებინა საქართველო, რომელთანაც საბჭოთა რუსეთს სამშვიდობო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. საბჭოთა რუსეთი შემდეგაც ადასტურებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მშვიდობიანი ურთიერთობის აუცილებლობას.

17 დეკემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა კავბიუროს 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე (16 დეკემბერს, გათენებისას საქართველოს საზღვრების გადალახვის შესახებ) და დაადგინა: „დადასტურდეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კავკასიაში რსფსრ მშვიდობიანი პოლიტიკის შესახებ და დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სამხედრო უწყებებს მიიღონ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პოლიტიკის წარმატებითი განხორციელება" (იხ. გ. ქვანია. „საერთაშორისო ნორმების დაცვით", თუ ოკუპაცია? „კომუნისტი", 1989 წლის 11 აგვისტო).

როგორც ვხედავთ, მშვიდობიანი პოლიტიკის უზრუნველყოფა სამხედრო უწყებასაც დაევალა. მიუხედავად ამისა, მე-11 წითელი არმიის სარდალმა, თბილისის № 1 (ადრინდელი პირველი გიმნაზია) სკოლადამთავრებულმა ა. ი. ჰეკერმა კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს განსახილველად 1920 წლის 18 დეკემბერს წარადგინა მოხსენება, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი აზრი, „თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ამისათვის". დოკუმენტიდან ჩანს, რომ არმიის სარდალი დასაპყრობი ქვეყნის მდგომარეობას კარგად იცნობდა. ილუზიებით არ იკვებებოდა. იცოდა, რომ წითელ არმიას მძიმე ბრძოლები ექნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალებთან. ა. ი. ჰეკერი აღიარებს, რომ მოსახლეობა „მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ". ყველაზე მეტად გულსატკენი მაინც ის იყო, რომ თბილისელ ა. ი. ჰეკერს ასე მიაჩნდა: „საქართველოზე თავდასხმა", თბილისზე შეტევა „უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს". ჰეკერის აზრით: „თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, და, უპირველესად ყოვლისა, თბილისის, უფრო რეალური გახდება" („სამშობლო", 1989 წლის ივლისი, № 18).

1920 წლის 21 დეკემბერს, საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე, ვ. ი. ლენინი კვლავ შეეხო საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას. ფრაქციის სხდომაზე ვ. ი. ლენინმა საბჭოთა რუსეთში კონცესიების დაწესებასთან დაკავშირებით მიღებულ ბარათებს უპასუხა. შეკითხვაზე „აგვიხსენით ანტანტის პოლიტიკა თურქეთის მიმართ და ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება" ვ. ი. ლენინმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ოფიციალურ მოხსენებაში ამ საკითხზე აშკარად ლაპარაკი უხერხულია, იმიტომ, რომ აქ ურთიერთობა მეტისმეტად დახლართულია. აქ ყველაფერი დამოკიდებულია ურთიერთობათა რთულ თამაშზე ბურჟუაზიულ საქართველოში, რომელიც კატასტროფის წინაშე დგას. დარწმუნებული ვარ, ამით დაინტერესებული ამხანაგები ინტერესით მოისმენენ ამხ. მეშჩერიაკოვის, „პრავდის" რედაქტორის, მოხსენებას, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს მათ. ამხ. მეშჩერიაკოვი დაბრუნდა საქართველოდან, სადაც მან რამდენიმე კვირა მაინც დაჰყო, თუ რამდენიმე თვე არა, და უაღრესად საინტერესო მასალა შეკრიბა მენშევიკთა სამეფოზე. საქართველო კატასტროფის წინაშე დგას. თურქეთის შეტევა ჩვენს წინააღმდეგ იყო ნავარაუდევი. ანტანტა ჩვენ გვთხრიდა ორმოს, თვითონ კი ჩავარდა შიგ, რადგან ჩვენ საბჭოთა სომხეთი მივიღეთ... პირადად ჩვენ კავკასიის მიმართ უაღრესად მშვიდობისმოყვარული ვიყავით და ვართ და, კავკასიელ ამხანაგთა საყურადღებოდ ვამბობ, არ დავუშვებთ ოდნავ გაუფრთხილებლობასაც კი, რომელსაც შეეძლება ჩვენი ომში ჩათრევა. ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა აქამდე ისეთი კარგი იყო, რომ ანტანტა ნერვიულობს, გადამჭრელ ზომებს იღებს ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ თავის წინააღმდეგ კი გამოუდის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 260-261).

„რა მოელის საქართველოს?"— ეკითხებიან ვ. ი. ლენინს. „ეს მუსლიმანთა ალაჰმაც კი არ იცის,— პასუხობს ვ. ი. ლენინი, — მაგრამ თუ მტკიცედ ვიქნებით, სრულიად უხიფათოდ რაიმეს შევიძენთ" (იქვე, გვ. 261).

ვ. ი. ლენინის ეს გამოსვლა მხოლოდ 1963 წელს გამოქვეყნდა. იგი ბევრმხრივაა საინტერესო. ყურადღებას იპყრობს ვ. ი. ლენინის გამოთქმა, რომ საქართველო კატასტროფის წინაშე დგას (იგი ამ აზრს ორჯერ იმეორებს). ვ. ი. ლენინი ირონიით ლაპარაკობს ქართველ „მენშევიკთა სამეფოზე" და გარკვევით მიუთითებს, საბჭოთა რუსეთი კავკასიაში სიფრთხილეს გამოიჩენს, რათა ომში არ ჩაითრიონ. აქ, პირველ რიგში, ცხადია, საქართველოსთან ომი იგულისხმება. ყველაზე დამაფიქრებელია მაინც პასუხი კითხვაზე „რა მოელის საქართველოს?". ვ. ი. ლენინი აღიარებს, რომ ძნელია აქ რაიმეს გადაჭრით თქმა, მაგრამ იქვე დასძენს, თუ მტკიცე პოლიტიკას გავატარებთ, შეიძლება რაიმე შევიძინოთო. შევადაროთ ვ. ი. ლენინის ზემოციტირებული განცხადება სომხეთის თაობაზე: „ანტანტა ჩვენ გვითხრიდა ორმოს, მაგრამ თვითონ ჩავარდა შიგ, რადგან ჩვენ საბჭოთა სომხეთი მივიღეთო". უეჭველია, ვ. ი. ლენინი „უხიფათოდ რამეს შეძენაში" საქართველოს გასაბჭოებას გულისხმობს. მაშასადამე, აშკარად ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას ვ. ი. ლენინი 1920 წლის დეკემბერში უკვე სხვა თვალით უყურებს. იქნებ ადრეც? არც ესაა გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, საფუძველი ასეთი ვარაუდისათვის ნამდვილად არსებობს. ზოგიერთი უცხო წყაროც აშკარად მიგვანიშნებს ამაზე. დავიმოწმოთ თურქი ავტორის, გენერალ ალი ფუად ჯებესოის წიგნი „მოსკოვური მოგონებანი" (სტამბოლი, გამომცემლობა „ვატანი", 1955 წ. გვ. 73), რომელშიც გადმოცემულია ვ. ი. ლენინთან ქემალისტური თურქეთის დელეგაციის 1920 წლის 14 აგვისტოს საუბრის შინაარსი (ამის შესახებ მოთხრობილი იყო დავით აბაშიძის საინტერესო სტატიაში „საგულისხმო ფაქტი", რომელიც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 1989 წლის 7 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა). გავიხსენოთ, ამ დროს სომხეთსა და საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება. საუბრის ერთი მონაკვეთი ალი ფუად ჯებესოის წიგნში ასეა აღწერილი: „თურქებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად სომხების გამუდმებული თავის მართლებისა, ისინი არცთუ ისე უცოდველნი არიან". ლენინი ამაზეც დაეთანხმა და უპასუხა: „უეჭველია ის ფაქტი, რომ უახლოეს დროში მოიძებნება მიზეზი სომხეთსა და საქართველოში ჩვენი შესვლისაო" (თარგმანი ლ. კეკელიძისა. იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის მიერ 1980 წელს გამოცემული რეფერატების კრებული „თანამედროვე ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა". სერია: „ისტორია და ხელოვნებათმცოდნეობა", გვ. 114).

ბუნებრივია, მკითხველი ეჭვის თვალით შეხედავს ჯებესოის ცნობის სანდოობას, რადგან მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ჭეშმარიტად დიდი პოლიტიკოსი ვ. ი. ლენინი ასეთ საიდუმლოებას განდობდა თურქეთის დელეგაციას. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ „დიდმა პოლიტიკამ" აიძულა საბჭოთა რუსეთის მეთაური დაეიმედებინა ქვეყანა, რომელთანაც კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობას ეძებდა. გარდა ამისა, როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, საბჭოთა რუსეთმა რამდენიმე თვეში მართლაც „მოძებნა მიზეზი" სომხეთსა და საქართველოში წითელი არმიის შეყვანისათვის.

თუ ალი ფუად ჯებესოის დაეჯერება, სომხეთსა და საქართველოში წითელი არმიის შემოყვანისათვის საბაბის გამოძებნაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის სხვა წარმომადგენლებთანაც ყოფილა საუბარი. 1920 წლის 19 ივლისს რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ლ. მ. კარახანს თურქეთის დელეგაციასთან საუბარში განუცხადებია, რომ „ასეთ ვითარებაში სომხეთში შეჭრა უარყოფით გავლენას მოახდენდა დასავლეთისა და ამერიკის საზოგადოებრიობაზე, ვინაიდან ამის საბაბი არ არსებობდა" (ჯებესოი, გვ. 63).

ჯებესოის ნაშრომში აღნიშნულია: „როგორც შემდეგ გამოირკვა, ბოლშევიკები თვალს უხვევდნენ თურქებს. 1920 წლის 4 აგვისტოს კარახანთან მეორე მიღება შედგა. კარახანმა თქვა, რომ „სომხთა რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებების საპასუხოდ საბჭოთა ჯარი ნახიჩევანში შევიდა და იქ მყოფ თურქულ ნაწილებთან კონტაქტი დაამყარა. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ანკარის მთავრობამ ნოტა გადასცა სომხეთს, სადაც მოითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დადგენილი საზღვრების დაცვას. თურქეთის ან თუნდაც თურქეთისა და რუსეთის ერთობლივი პრეტენზია სომხეთისადმი, ზოგიერთი მიზეზის გამო, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ძველი რუსეთის შემადგენლობაში მყოფი სომხეთის საკითხს ჩვენ მოვაგვარებთ. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთთან ომი არ გვსურს, საომრად მაინც მზად ვართ, ომის საბაბს გამოვძებნით" (დასახ. რეფერატების კრებული, გვ. 113).

თურქეთის დელეგაციის მეთაურის ანკარისათვის შეუტყობინებია: „მოლაპარაკების შედეგად შეიქმნა ისეთი აზრი, რომ საბჭოთა მთავრობა პრინციპში თანახმაა ჩვენს დახმარებაზე, მაგრამ იმის გამო, რომ დაკავებულნი არიან პოლონეთის ფრონტზე და ვრანგელის წინააღმდეგ, არ არიან დარწმუნებულნი აზერბაიჯანელებისა და ყაზახების გულწრფელ დამოკიდებულებაში, და სანამ არ გააუვნებლებენ ვრანგელს, სომხეთში შეჭრას ერიდებიან. ყირიმსა და კავკასიაში სანამ მთლიანად მდგომარეობის ბატონ-პატრონი არ გახდებიან, სასომხეთთან და საქართველოსთან ომი ხელს არ აძლევთ" (ჯებესოი, გვ. 75; დასახ. რეფერატების კრებული, გვ. 115).

ასეთია თურქი დიპლომატისა და სამხედრო მოღვაწის თვალით დანახული ურთიერთობა საბჭოთა რუსეთისა სომხეთსა და საქართველოსთან 1920 წლის ზაფხულში. აქ მთავარი მაინც ის არის, რომ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები უცხოელებთან შეხვედრის დროსაც კი არ ერიდებიან სომხეთსა და საქართველოში წითელი არმიის შეყვანისათვის საბაბის გამოძებნაზე საუბარს.

უფრო მეტიც. კავკასიიდან მოსკოვს დაბრუნებულმა ი. ბ. სტალინმა 1920 წლის 30 ნოემბერს გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე ოფიციალურად განაცხადა: „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვდავი II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა ბ-მა კაუცკიმ, რევოლუციის ტალღის მიერ ევროპიდან გატყორცნილმა, თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ ანტანტის ბადეში გახვეულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა" (ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 446-447).

ლევან თოიძე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

ხალხის ინტერესების სადარაჯოზე

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რა თქმა უნდა, ჩვენი პროფესიული დღესასწაულების ფორმასა და შინაარსშიც აირეკლება. საქმეს არაფერს არგებს ძველებური მყვირალა ფრაზები და ნაკლებდამაჯერებელი საზეიმო პატაკები.

აი, დღესაც, როცა საბჭოთა მილიციის დღე აღინიშნება, უპირველეს ყოვლისა გვინდა ყურადღება ყველაზე საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხებზე გავამახვილოთ.

ცნობილია, რომ ბოლო დროს ჩვენთან საგრძნობლად გართულდა ოპერატიული მდგომარეობა, რაც გამოიწვია სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზრდამ, საგრძნობლად მატულობს ქონებრივი დანაშაული: ძარცვა, ქურდობა, ავტომანქანების გატაცება და სხვა. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთგვარად შეასუსტა ნეგატიურმა მოვლენებმა აფხაზეთსა და ქვემო ქართლში. ჩვენ იძულებული ვიყავით უშუალო საქმიანობისაგან მოგვეწყვიტა და ამ რეგიონებში გადაგვეყვანა პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი. ამით, რა თქმა უნდა, მე სრულებითაც არ მინდა გავამართლო მილიციის ორგანოებში არსებული ნაკლოვანებანი და ყველაფერი მარტო ექსტრემალურ სიტუაციებს გადავაბრალო.

ბოლო დროს ოპერატიულმა საქმიანობამ უფრო მიზანსწრაფული ხასიათი მიიღო და, ვიმედოვნებთ, ახლად შექმნილი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი კომიტეტის დახმარებით მდგომარეობა სტაბილური გახდება.

სამინისტროს ხელმძღვანელობამ, ვფიქრობთ, დროულად დააყენა საკითხი მილიციის ხელშემწყობი, მუდმივმოქმედი დამხმარე რაზმების შექმნის თაობაზე მსხვილ საწარმოებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებში. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების პროფილაქტიკა ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს.

საფუძვლიან გარდაქმნასა და გადახალისებას მოითხოვს თვით შინაგან საქმეთა ორგანოებიც. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, პირადი შემადგენლობის მორალურ-ზნეობრივი გაჯანსაღება, მისი პროფესიული მომზადების გაუმჯობესება და ორგანოების სტრუქტურული დახვეწა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა — შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა პროფილაქტიკის სამმართველო და ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებები. მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ალბათ, სწორი იქნება დიდ ქალაქებში შეიქმნას მილიციის ქვედანაყოფები, რათა ხალხს უფრო ქმედითად და ოპერატიულად მოვემსახუროთ.

თუ რაოდენ აღელვებს რესპუბლიკის საზოგადოებას მართლწესრიგის დაცვისა და განმტკიცების საკითხები, ნათლად ჩანს პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდანაც.

ყველა ჩვენგანს კარგად ესმის, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ღრმა სოციალურ ხასიათისაა და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, მით უმეტეს საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში.

ამ ცოტა ხნის წინათ ხომ იმის აღიარებასაც ვერ ვბედავდით, რომ დანაშაული ჩვენშიაც სოციალური მოვლენაა და მას „კაპიტალისტური გარემოცვის", „წარსულის მავნე გადმონაშთების", „მავნე ტრადიციების" არსებობითა და გამოვლინებით ვხსნიდით.

ასეთი აზრი, სამწუხაროდ, მთლად არც დღეს აღმოფხვრილა. შინაგან საქმეთა განყოფილების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი დაახლოებით ამგვარად მსჯელობს: „თუ საფუძველი არ არსებობს, დანაშაული კი მაინც ხდება, გამოდის, რომ იგი ჩემი ცუდი მუშაობის შედეგია", და იმის ნაცვლად, რომ ღრმად ჩასწვდეს სამართალდარღვევის ყოველ კონკრეტულ ფაქტს, განახორციელოს საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებები, ამჯობინებს დამალოს დანაშაული და ხელოვნურად შექმნას მოჩვენებითი წესრიგის ატმოსფერო.

ვიდრე ეს მავნე ტენდენცია საბოლოოდ არ აღმოიფხვრება, ჩვენი მუშაობის პრაქტიკიდან, მანამდე დანაშაულობათა წინააღმდეგ სერიოზულ ბრძოლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მალე მეორე ათეული წელი მიილევა მას შემდეგ, რაც ჩვენს რესპუბლიკაში უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეთ ნეგატიურ მოვლენებს. მხილებულია და პასუხისგებაშია მიცემული მრავალი მექრთამე, კომბინატორი და სახელმწიფო ქონების დამტაცებელი, მაგრამ გულახდილად ვაღიაროთ, — ამ ბრძოლას საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია. ერთი დამნაშავის ადგილს მეორე იჭერდა, იმიტომ, რომ ჩვენ შედეგს ვებრძოდით და არა მიზეზს. მიზეზი კი გახლდათ ის უარყოფითი პროცესები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ძალას იკრებდნენ, რასაც დღეს სოციალიზმის დეფორმაციას ვუწოდებთ.

პატიოსანი შრომის გაუფასურება ბევრს უბიძგებდა დანაშაულებრივი გზისაკენ. ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში, ვინც უკეთ მოერგო გარემო-პირობებს, დიდძალმა სიმდიდრემ მოიყარა თავი, მაშინ, როცა უმრავლესობას არსებობაც უჭირს. თავი იჩინა სოციალურმა უსამართლობამ, გაუფასურდა ადამიანური ღირებულებანი.

პარტიამ აღიარა დაშვებული შეცდომები და მთელი სიმწვავით დააყენა დღის წესრიგში გარდაქმნისა და მორალურ-ზნეობრივი განახლების საკითხი, რაც ძირშივე აღმოფხვრის დანაშაულის გამომწვევ სოციალურ მიზეზებს და ხელს შეუწყობს საზოგადოების გაჯანსაღებას.

გარდაქმნის წარმატებაზე დამოკიდებულია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ხალხების, არამედ ცივილიზებული მსოფლიოს ბედიც. ეს კარგად ესმის ჩვენს მტერ-მოყვარეს საზღვარგარეთ და მით უფრო უნდა გვესმოდეს ჩვენ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც „სტაბილურობის შენარჩუნების" მომიზეზებით ცდილობენ კვლავ ტოტალიტარიზმის გზაზე დააყენონ ქვეყანა, ხოლო ეს რას გვიქადის, უკვე ვიცით წარსულის მწარე გამოცდილებით და სულ ახლახან თბილისში დატრიალებული ტრაგედიითაც.

აი, რატომ ვამბობთ, რომ დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ დასახული მიზნისაკენ და არ ვეცადოთ წინ გავუსწროთ მოვლენებს, თორემ კვლავ რამე უბედურებას გადავეყრებით. ის, რაც წარმოუდგენლად მიგვაჩნდა გუშინ, დღეს უკვე რეალობად იქცა.

იმედსა და რწმენას გვინერგავს საქართველოს კომუნისტური პარტიის ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი, რომლის საბოლოო მიზნადაც საქართველოს სრული სუვერენიტეტის მოპოვებაა აღიარებული.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია გულისტკივილს არ იწვევდეს დანაშაულობათა ზრდა, რაც ეროვნულ სხეულს აძაბუნებს და ფიტავს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მკვლელობის, ნარკომანიისა და ავტოავარიების ზრდის შემთხვევები, რასაც ყოველწლიურად მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

1986 წელს 132 მკვლელობაა ჩადენილი, 1987 წელს — 142, 1988 წელს — 155, ხოლო მიმდინარე წელს — 172. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველ მკვლელს ფაქტობრივად საკუთარი თავისთავისაც გამოაქვს მომაკვდინებელი განაჩენი, ეს ციფრები ლამის ორკეცდება. ჩვენს დემოგრაფიულ მდგომარეობას ვერ გამოვასწორებთ, თუ თითოეულ ადამიანს არ გავუფრთხილდით, მით უფრო, რომ დანაშაულს ძირითადად ახალგაზრდები სჩადიან, ისინი, ვინც ერი უნდა ამრავლოს და აძლიეროს.

მკვლელობის ყველა ფაქტზე განგაში უნდა ვტეხდეთ. ვინც თანამოძმეზე ხელს აღმართავს, ის მარტო დამნაშავე და ბოროტმოქმედი კი არა, ერის მოღალატეც არის. ასევე პოტენციური მკვლელი და ერის მოღალატეა ყველა ახალგაზრდა, რომელიც ჯიბით ცეცხლმსროლელ და ცივ იარაღს ატარებს და კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნის ამხანაგებს შორის.

ეროვნულ ტრაგედიად გვექცა ავტოავარიები. ყოველწლიურად ავტოავარიებს ასობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ეწირება. მარტო წელს, ათ თვეში, 2040 ავტოკატასტროფა მოხდა, რომელსაც 589 ადამიანი ემსხვერპლა, 2417 კაცი კი მძიმედ დასახიჩრდა. მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება.

ცხადია, რესპუბლიკის გზები და ქალაქის ქუჩები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ავტომობილიზაციით წამოჭრილ მოთხოვნებს, სწორად არ მოქმედებენ ხშირად ავტოინსპექციის მუშაკებიც, მაგრამ ზოგი რამ ხომ ჩვენს თავსაც უნდა დავაბრალოთ. ანალიზი ცხადყოფს, რომ რესპუბლიკაში მომხდარი ავარიების ძირითადი მიზეზი სიმთვრალე, სიჩქარის გადაჭარბება, უდისციპლინობა და მოძრაობის უსაფრთხოების ელემენტარული წესების უგულებელყოფაა.

რაშია საქმე, რამ მოგვიდუნა სიფრთხილისა და თვითშეგნების თანდაყოლილი ინსტიქტი? ეს არის დაუდევრობა, ზერელობა და წესრიგისადმი უპატივცემლობა.

უდიდეს და საერო პრობლემად მიმაჩნია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ყოველდღიურად მიზანსწრაფულ ხასიათისა უნდა იყოს და ამ ბრძოლაში ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი მხარში უნდა ედგეს მილიციის ორგანოებს.

ხშირად სვამენ კითხვას, — რა არის ნარკომანია, ავადმყოფობა თუ დანაშაული? — ვფიქრობთ, რომ ორივე ერთად, უწინარეს ყოვლისა კი დანაშაული, რომელიც უკურნებელ, ინფექციურ სენად იქცევა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ნარკომანია დღევანდელი მსოფლიოს გლობალური სენია და ამიტომ მას უნდა დავუპირისპიროთ არა მარტო მილიციის ოპერატიულ ღონისძიებათა კომპლექსი, არამედ მთელი საზოგადოების ბრძოლისუნარიანობა, მკურნალობა, აღმზრდელობითი მუშაობა, აგიტაცია და პროპაგანდა. ანალიზი მოწმობს, რომ ნარკოტიკების გამსაღებელთა უმრავლესობა სხვა ერის წარმომადგენელია, ხოლო მომხმარებლები — უპირატესად ქართველები. აქედან გამომდინარე სამინისტრო ყველაფერს ღონობს იმისათვის, რომ ჩვენი კოლეგების მოძმე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა ორგანოების დახმარებით დროულად გამოვავლინოთ ყველა არხი და საშუალება, რომელთა მეშვეობით საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებანი შემოდის.

გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს უმთავრესად დევნიან ნარკომანს და არა ნარკოტიკების გამყიდველებს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს დაზღვეული ვიყოთ შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან, ვიცით, ამ დიდ ეროვნულ სატკივარზე ზოგი ხელსაც ითბობს, მაგრამ ვერც იმ აზრს დავეთანხმებით, თითქოს განზრახ ვფარველობდეთ ვინმეს. ჩვენ ყოველწლიურად ნარკოტიკების მრავალ გამავრცელებელს ვამხელთ და სისხლის სამართლის პასუხისმგებაში ვაძლევთ, ასევე ვიღებთ და ვანადგურებთ დიდძალ ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ეს ღონისძიებები აუცილებელია, მაგრამ საკმარისი როდია ამ საშინელი სენის დასაძლევად.

უფროს თაობას თამამად შეუძლია თქვას, რომ ერის მომავალი საიმედო ახალგაზრდობის ხელშია, მაგრამ მაინც სამართლიან შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდა. მიმდინარე წლის 9 თვეში არასრულწლოვანებმა 381 დანაშაული ჩაიდინეს. პასუხისგებაში მიცემულია 30 წლის ასაკამდე ორი ათასზე მეტი ახალგაზრდა, დანაშაული ხშირად ჯგუფური ხასიათისაა, რაც მეტად დამაფიქრებელია.

ჩვენ მოველოდით, რომ რესპუბლიკაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა დანაშაულობათა სტატისტიკაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს არ შეინიშნება. გვჯერა, საბოლოოდ ალბათ ასედაც მოხდება, მაგრამ, ჩანს, საამისოდ გარკვეული დრო და მუშაობა საჭირო. დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია ამ საქმეში ყველა აღმზრდელობით ინსტიტუტს, სახალხო ფრონტს, უმაღლეს და საშუალო სკოლას, მთელ საზოგადოებრიობას. ამ მოწინავე ძალების უმთავრეს ამოცანად ჩვენ გვესახება დამნაშავეთა სამყაროს ზეგავლენისაგან იხსნას ჩვენი ყმაწვილები, ჩაუნერგონ მათ პატრიოტიზმის გრძნობა, გულმოწყალება, სიკეთის, პატიოსნებისა და უანგარო შრომის სიყვარული, რათა ახალგაზრდა საბრალდებო სკამამდე არ მივიდეს. ეჭვს არ იწვევს ის ჭეშმარიტება, რომ საპყრობილე არასოდეს ყოფილა, არ არის და არც იქნება ადამიანის გამოსწორების კარგი საშუალება.

უდიდეს ამოცანად გვესახება ახალგაზრდების შრომით პროცესებში ჩაბმა, რათა დამოუკიდებელ ცხოვრებას უფრო მომზადებულნი შეხვდნენ. როგორ არ გავიხსენოთ აქ დასავლეთის ქვეყნებში საყოველთაოდ მიღებული და დამკვიდრებული წესი, როცა ფრიად შეძლებული ოჯახების შვილებიც კი მუშის პროფესიით იწყებენ შრომით საქმიანობას და მხოლოდ თავიანთი შემოსავლით ცხოვრობენ.

მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის ფუნქციას ამჟამად ჩვენში ახორციელებენ სამეთვალყურეო კომისიები, რომლებიც შექმნილია ყველა საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტთან, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან. მასში შედიან როგორც დეპუტატები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც კონტროლს უწევენ აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ პატიმართა უფლებების დაცვის კომიტეტის შექმნის იდეისა, მაგრამ იქნებ სჯობდა უკვე შექმნილ კომისიების მუშაობაში მიეღოთ მონაწილეობა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და გაეძლიერებინათ მისი ქმედუნარიანობა; მხედველობაში გვაქვს, რომ ეს კომისიები დაზღვეული არ იქნებიან ცალკეული შეცდომებისაგან.

რაც შეეხება მსჯავრდებულებთან საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრებს, ამის უფლება მათ აქვთ. ამ მხრივ საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობაც მიმდინარეობს. ხშირად ეწყობა შეხვედრები შრომითი კოლექტივებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, იმართება საშეფო კონცერტები, მუშაობს თვითმოქმედი წრეები, რომლებსაც ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი ხელმძღვანელობენ. მსჯავრდებულებს სრული უფლება აქვთ ისარგებლონ ყოველგვარი ლიტერატურით, რაც ხელს შეუწყობს მათ ზნეობრივ ამაღლებას.

გამასწორებელ დაწესებულებათა სისტემაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვხვდება, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ აქაც შეიმჩნევა სასიკეთო ძვრები — წინა პლანზე გადმოდის ადამიანის ფაქტორი, მიმდინარეობს ჰუმანიზაციის პროცესები. განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

ჩვენ მივესალმებით მოწოდებას ყველა ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებისადმი, რომ მხარში ამოუდგნენ მილიციას და ერთიანი ფრონტით ვებრძოლოთ ყოველგვარ დანაშაულს, განვამტკიცოთ წესრიგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. დღეს განსაკუთრებით საჭიროა არა დაპირისპირება, არამედ კონსოლიდაცია, რაც საშუალებას მოგვცემს დავამყაროთ რესპუბლიკაში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგი, ეფექტიურად ვებრძოლოთ დამნაშავეობას და მის გამომწვევ მიზეზებს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის, ამხანაგ ვ. ბაკატინის საქართველოში ყოფნის დროს განვიხილეთ ბევრი საჭირბოროტო საკითხი და, კერძოდ მილიციის ორგანოების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების, მისი პროფესიონალიზმის, სრულყოფისა და ტექნიკით აღჭურვის პრობლემები. ამ მხრივ გასაკეთებელი ბევრია და იმედსაც არ ვკარგავთ, რომ დადებით ძვრებს ახლო მომავალში ვიხილავთ. ყველაფერი ეს კი ჩვენს მოსახლეობაში განამტკიცებს იმის რწმენას, რომ მილიცია მტკიცედ დაიცავს მის უფლებებს, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სინდისს და ნამუსს, დაიცავს შრომით მოპოვებულ დოვლათს.

დასასრულ, გვინდა მილიციის დღესასწაული მოვულოცოთ რესპუბლიკის მშრომელებს, შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას და ყველას, ვისაც გარკვეული წვლილი შეაქვს მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

ვარლამ შადური,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

რეცენზია

თუ სიყვარული იგვიანებს

„ას წელიწადში ერთხელ" მუსიკალური თეატრის სცენაზე

ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალურმა თეატრმა წლევანდელი სეზონის პირველ პრემიერად შემოგვთავაზა ალ. ჩხაიძის პიესის მიხედვით შექმნილი გიორგი და კახა ცაბაძეების მიუზიკლი „ას წელიწადში ერთხელ". ეს არის მხიარული, ხალისიანი სპექტაკლი, ფართო აუდიტორიისათვის მისაწვდომი მუსიკალური სანახაობა, რომელშიც მიუზიკლის ჟანრის ყველა პირობა არის დაცული — შეზავებულია ქორეოგრაფია და ვოკალი, ლირიკა და დრამატიზმი, იუმორი და გროტესკი.

სპექტაკლის შინაარსი მარტივი და უპრეტენზიოა. მოქმედება ვითარდება ეგრეთ წოდებულ „ბედნიერ შეხვედრათა კლუბში". კლუბის მიზანი კეთილშობილურია. იგი ისწრაფვის ბოლო მოუღოს ადამიანთა მარტოობას. აქ, კომიკური სიტუაციებისა და სასაცილო თავგადასავლების ფონზე, ნაჩვენებია პირად ბედნიერებაზე იმედგაცრუებული, გულგატეხილი ადამიანების მობრუნება ნამდვილი გრძნობისაკენ. დაგვიანებული სიყვარულის თემა ამ სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი იდეაა.

ალ. ჩხაიძის პიესა დრამატული თეატრისთვის არის გამიზნული, — გვითხრა სპექტაკლის რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ, — მუსიკალურ სპექტაკლს კი თავისი სპეციფიკა, განსხვავებული პარამეტრები აქვს, რამაც განაპირობა კორექტივები ავტორისეულ ტექსტში. პიესის მიუზიკლის ლიბრეტოდ გადაკეთების პროცესი, ჩემის აზრით, მტკივნეული იყო. ძალაუნებურად გამარტივდა პიესის დრამატურგიული ქარგა.

ვფიქრობთ, რომ ცალკეული სცენა ახლა, მართლაც, ნაკლებად დამაჯერებლად გვეჩვენება, მაგრამ შესანიშნავი მუსიკა, მსახიობთა კარგად შერჩეული ანსამბლი უკმარისობის გრძნობას ერთგვარად აბათილებს. სპექტაკლში ერთმანეთის მხარდამხარ თამაშობენ უკვე აღიარებული, გამოცდილი ოსტატები და თეატრის ახალგაზრდა, დამწყები მსახიობები. მონაწილეთა შორის, უწინარესად, უნდა აღინიშნოს საქართველოს სახალხო არტისტის თ. მერკვილაძის (ბერიქალი) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბ. ბეგალიშვილის (ბერიკაცი) საუცხოო დუეტი. დარბაზის აღიარებას იმსახურებს მათი იმპროვიზაციული თავისუფლება, ზომიერი იუმორი, გარდასახვის უნარი, სცენური პლასტიკა. შესანიშნავად გახსნა სპექტაკლში უიღბლო, მაგრამ მუდამ იმედიანი ბედის მაძიებლის ჯულიას კომიკური სახე საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ც. გურგენიძემ. ურთიერთგანსხვავებულ, ევას სახის საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ საქართველოს დამსახურებული არტისტი ლ. ჩიბალაშვილი და ქ. ჩიკვაიძე. ჯ. ჯანჯალაშვილისეული სიდოროვი თუმცა ეპიზოდური პერსონაჟია, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთშიც კი ნიჭიერი მსახიობი ოსტატობით ქმნის დასამახსოვრებელ, გროტესკულ სახეს. გამოვყოფთ აგრეთვე ნ. მეძმარიაშვილის დინჯ და აუღელვებელ კაპიტანს, მ. ჯოხაძის ენერგიულ დიანას, გ. ქემერტელიძის მორისს, ტელევიზიის კორესპონდენტების სატირული სახეები შექმნეს ბ. გვაზავამ და დ. გიგოშვილმა და სხვებმა.

დამდგმელი კოლექტივის (დირიჟორი პ. დვითაშვილი, მხატვარი ლ. მუსერიძე, ქორეოგრაფი ნ. მაღალაშვილი) მიერ გაწეული შრომის ღირსებათა შორის აღსანიშნავია, რომ მათ ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, რათა ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის უკანასკნელი ნაწარმოები ღირსეულად წარმოჩენილიყო სცენაზე, იმ სცენაზე და იმ კოლექტივის მიერ, რომელთანაც ბატონ გიორგის ხანგრძლივი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა. მისმა ოპერეტებმა და მიუზიკლებმა ხომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოში ამ ჟანრების წინსვლის საქმეში.

ისევე როგორც გიორგი ცაბაძის მთელი შემოქმედება, ამ სპექტაკლის მუსიკაც გვიზიდავს ეროვნული სულით. მელოდიურ, უბრალო, სადა მუსიკას ლირიზმთან ერთად არ აკლია მიზანსწრაფულობა, განვითარების დინამიკა. სამწუხაროდ, კომპოზიტორს არ დასცალდა უკანასკნელი ნამუშევრების დასრულება. ეს რთული და პასუხსაგები ამოცანა მისმა ვაჟმა, კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ იტვირთა. ახალგაზრდა, ნიჭიერი შემოქმედის დიდ მონაპოვრად გვესახება ის, რომ მიუზიკლის მოსმენისას არ იგრძნობა ორი ავტორის, ორი განსხვავებული კომპოზიტორის ხელწერა, კახა ესწრაფვოდა მაქსიმალურად მიახლოვებოდა ავტორისეულ მანერას, გ. ცაბაძის სტილს.

— სპექტაკლზე მუშაობის პროცესში გაჩნდა რამდენიმე პერსონაჟი, რომლისთვისაც მუსიკა იყო შესაქმნელი, დასამატებელი იყო რამდენიმე ნომერი და საფინალო დუეტი, — თქვა ჩვენთან საუბარში კახა ცაბაძემ, — ამ სპექტაკლით [illegible] უმთავრესი ტვირთი, რომელიც როგორც გიორგი ცაბაძის ვაჟს და როგორც კომპოზიტორს მეკისრებოდა. ყველაზე ძვირფას ჯილდოდ ის მიმაჩნია, რომ ჩემს და მამისეულ მუსიკას ერთიმეორისაგან ვერ ანსხვავებენ. ქ. ოდესის მუსიკალური თეატრის სცენაზე იდგმება ო. იოსელიანის პიესის მიხედვით გ. ცაბაძის მიერ შექმნილი სპექტაკლი „სანამ ურემი გადაბრუნდება", რომლის მესამე მოქმედების მუსიკალური ნომრები ასევე მე დავასრულე.

დიდი სიხარული მომიტანა იმანაც, რომ შედგა ჩემი შეხვედრა იმ ადამიანებთან, იმ კოლექტივებთან, რომლის გარემოცვაში ვიზრდებოდი, რომლებთან ურთიერთობა ყოველთვის დღესასწაული იყო ჩემთვის. სპექტაკლზე მუშაობის პროცესში მთელმა კოლექტივმა დაძაბული, ინტენსიური მუშაობით, მონდომებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება მამის, მისი შემოქმედების მიმართ.

შეკითხვაზე, თუ როგორ ესახება მომავალი თანამშრომლობა ამ თეატრთან კომპოზიტორს, კახამ გვიპასუხა:

— უთუოდ სხვაგვარად ვერ გავძლებ, თუკი კვლავ არ გამოვხატე ჩემი სიყვარული, მოკრძალება ამ ჟანრის მიმართ, ამდენად მაქვს კიდეც გეგმები. რუსთაველის თეატრში ვაფორმებ მუსიკალურ სპექტაკლს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს". განვაგრძობ თანამშრომლობას რეჟისორ ვ. ნიკოლაძესთან, რომელიც „სატირის და იუმორის თეატრში" ახორციელებს სპექტაკლის დადგმას პირობითი სახელწოდებით „ვოდევილი".

სპექტაკლი „ას წელიწადში ერთხელ" ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის კოლექტივმა უკვე რამდენჯერმე წარმოადგინა. ხალხით სავსე დარბაზი ნაწარმოების წარმატებაზე მიგვანიშნებს.

ნანა ლვინიანიძე,
მუსიკათმცოდნე.

ნუ დავარღვევთ ეთიკის ნორმებს!

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ სთხოვა ჩვენი გაზეთის რედაქციას, მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობისათვის გაეცნო ეს წერილი, რომელიც მან საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას გაუგზავნა.

როგორც მოგეხსენებათ, თქვენს ბეჭდვით ორგანოში — ჟურნალ „კრიტიკის" ა/წ №5-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა ლევან სანიკიძის წერილი „მაინც საკუთარი „გორისათვის", რომელშიც ავტორი გამოთქვამს პირად, ერთობ სუბიექტურ მოსაზრებებს რუსთაველის თეატრის და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ რობერტ სტურუას შემოქმედებაზე. პატივცემული მწერალი თავისი ცოდნის, დონისა და გემოვნების შესაბამისად აღიქვამს რ. სტურუას საყოველთაოდ ცნობილ დადგმებს. ცხადია, მწერალს სრული უფლება აქვს, იქონიოს საკუთარი შეხედულება თეატრალურ ხელოვნებაზე და თავისი აზრი საჯაროდაც გამოთქვას, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში — ზეპირი გამოსვლის დროს თუ პუბლიკაციებში — არ უნდა არღვევდეს ეთიკის ნორმებს, არ უნდა აჰყვეს ანგარიშსწორების ცდუნებას. გვეუხერხულება კიდეც ამ ანბანური ჭეშმარიტების შეხსენება. მაგრამ ამ ბოლო დროს ეს ტენდენცია საგრძნობლად მომძლავრდა. ამას მოწმობს ლ. სანიკიძის წერილიც. იგი ყურს გვჭრის უტაქტო, ფამილარული პასაჟებით.

და მაინც, ჩვენი შეშფოთების მიზეზი სხვა რამეც არის — მხედველობაში გვაქვს ის უხამსი მინაწერი, რომელიც ჟურნალ „კრიტიკის" რედაქციამ დაურთო ლ. სანიკიძის წერილს. ჩვენ აღგვაშფოთა ამ მდარე, ცილისმწამებლურმა ოპუსმა, რომელიც ცდილობს ქართული თეატრის რეფორმატორის, თანამედროვეობის გამოჩენილი რეჟისორის რობერტ სტურუას ხელყოფას, მისი ბრწყინვალე ტალანტისა და მაღალმხატვრული მონაპოვრების გაბიაბრუებას. რედაქციის ეს მონაჭორი ჩირქს სცხებს არა მარტო ჟურნალ „კრიტიკის" რედაქციას და სარედაქციო კოლეგიას, არამედ ქართველ მწერალთა მთელ შემოქმედებით ორგანიზაციასაც.

ვიმედოვნებთ, რომ ეს შემაძრწუნებელი ფაქტი იქცევა საქართველოს მწერალთა კავშირის სერიოზული მსჯელობის საგნად. ამასვე ველით საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირისაგანაც. დროა, ხმა ამოვიღოთ მოძალებული უზნეობისა და დემაგოგიის წინააღმდეგ.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სამდივნო.

ასპარეზობენ ავტოტრანსპორტელები



ახლა ამას ყველა აღიარებს: როცა მაღალი სპორტული შედეგების მოპოვება თვითმიზნად გავიხადეთ, ყურადღებიდან გამოგვრჩა უმთავრესი — ხალხის გაჯანსაღებისათვის, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისათვის ზრუნვა. დღეს საქმე იქითკენ მიდის, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ნელ-ნელა უბრუნდება ძირითად დანიშნულებას და სწორედ მშრომელების, ახალგაზრდობის ჯანმრთელობის სამსახურში დგება. ცხადია, ხელშესახები შედეგები მაშინ გვექნება, როცა თითოეული შრომითი კოლექტივი, წარმოება-დაწესებულება მასობრივი ფიზკულტურის დანერგვისათვის არ დაზოგავს სახსრებს და მატერიალურ შესაძლებლობებს, მშრომელებს, მათი ოჯახის წევრებს შეუქმნის ვარჯიშის, აქტიური დასვენების პირობებს.

ამ მიმართულებით სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სისტემაში. ამას წინათ სპორტკლუბ „სინათლის" ბაზაზე გაიმართა გაერთიანების მუშაკთა პროფკავშირის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში რვა სახეობის სპორტი შეიტანეს. მოეწყო აგრეთვე მამებისა და შვილების შეჯიბრება. საფიქრებელია, რომ ამ საინტერესო და მხიარული ასპარეზობის მონაწილენი საბოლოოდ დაუმეგობრდნენ ფიზკულტურას და სპორტს.

სურათებზე, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, სწორედ ტრანსპორტელთა სასპარტაკიადო ტურნირია აღბეჭდილი.

ზურაბ გენგიურის ფოტო.

„გურია" თბილისში

ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა გაზიარულ იმედებს მალამოდ დაედო ლანჩხუთის „გურიის" უმაღლეს ლიგაში დაბრუნება. დიახ, გაისად „გურია" თბილისის „დინამოს" მხარდამხარ იბრძოლებს ჩვენი ფეხბურთისათვის ჩვეული დიდების დასაბრუნებლად.

ხვალ 11 ნოემბერს დედაქალაქის ფეხბურთის გულშემატკივრებს შესაძლებლობა ექნებათ პატივი მიაგონ ლანჩხუთელ ფეხბურთელებს. 15 საათზე თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყება საქველმოქმედო მატჩი. „გურია" შეხვდება ქუთაისის „ტორპედოს" გუნდს, რომელმაც ახალგაზრდული შემადგენლობით იმედისმომცემი შედეგებით დაამთავრა გასული სეზონი. მატჩის ორგანიზატორია პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭო. აქვე გაიმართება ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. მატჩის დამთავრების შემდეგ დასავლეთ ტრიბუნასთან გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ შეკითხვებით მიმართონ გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიხეილ ფოშენკოსა და რევაზ ძოძუაშვილს.

ტრადიციისამებრ გათამაშდება საფეხბურთო ლატარეა.

მატჩის მთელი შემოსავალი მოხმარდება ქართული სპორტის განვითარებისა და ერის გაჯანსაღების საქმეს.

ნონა გაფრინდაშვილი,
სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე.

კოოპერატორთა საყურადღებოდ

საქართველოს სსრ წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის საბჭოს გამგეობა აცნობებს კავშირის წევრ კოოპერატივებს, რომ 1990 წელს ნედლეულით, მასალებითა და მანქანა-დანადგარებით დროული უზრუნველყოფისათვის საჭიროა წარმოდგენილ იქნას სათანადო განაცხადები.

განაცხადები მიიღება კოოპერატორთა რაიონული და საქალაქო გაერთიანებებისაგან შეჯამებული ფორმით, იქ, სადაც გაერთიანებები ჯერჯერობით არაა შექმნილი, კოოპერატივებს შეუძლიათ უშუალოდ მიმართონ კავშირის საქმეთა მმართველობას.

განაცხადის ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ საქმეთა მმართველობაში. **მისამართი:** ქ. თბილისი, პავლოვის ქ. № 42, პირველი სართული.

კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის საბჭოს გამგეობა.

ჯანმრთელობის ახალი კერა

ქუთაისი. („კომუნისტის" საკ. კორ.). ნიკეას ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ქალაქის მე-4 პოლიკლინიკის ექვსსართულიანი, თანამედროვე ტიპის, კეთილმოწყობილი ახალი შენობა.

პოლიკლინიკაში ტრადიციული განყოფილებების (თერაპიული, ქირურგიული, რენტგენის) და ლაბორატორიის გარდა, არის პროფილაქტიკური და აღდგენითი მკურნალობის განყოფილებები, აქვე გაიხსნა კონტაქტური ლინზების კორექციის ლაბორატორია, რომელიც ემსახურება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. უახლოეს პერიოდში გაიხსნება შიდსის ანონიმური მკურნალობის კაბინეტიც.

პოლიკლინიკას შეემატა ახალი სამამულო და იმპორტული მარკის დანადგარები, აპარატურა. ამაში თავისი წვლილი შეიტანა მექანიკური ქარხნის კოლექტივმა.

ქალაქის ამ მიკრორაიონში 42 ათასი მცხოვრებია. პოლიკლინიკის სიმძლავრე და გამტარუნარიანობა, სპეციალისტთა რიცხვი, სრულიად საკმარისია მიკრორაიონის მოსახლეობის მაღალკვალიფიციური მომსახურებისათვის.

სურათზე: №4 პოლიკლინიკის ახალი შენობა.

თემურ ჯავახაძის ფოტო.

ტელევიზია — პარასკევი, 10 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — მხატვრული ფილმი „ხანდაზმულობის ვადის გარეშე". 15.50 — „საინფორმაციო გამოშვება". 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უკანასკნელი კალათბურთი". 17.20 — უფროსკლასელთათვის — საქართველოს ისტორია. 17.50 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 18.20 — განცხადებები. 18.25 — „ექო". 19.10 — „გარდაქმნა და სენაკელი კომუნისტები". 20.00 — მოამბე. 20.35 — საბჭოთა მილიციის დღე. 21.30 — მღერიან ახალგაზრდები. 22.00—„ვრემია". 22.40 — უჩვენებს სატელევიზიო თეატრი — ნ. დუმბაძე „კუკარაჩა" (საქართველოს ტელევიზიის დადგმა).

მეორე პროგრამა. 15.35 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „რევოლუციით შობილი" I, II და III სერია. 19.15 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „რევოლუციით შობილი". IV-V —სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 10.00 — ჟ. კოქტო. „ჯიბის თეატრი". ფილმ-სპექტაკლი. 11.25 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 12.25 — „ცისარტყელა (ნიკარაგუა). 13.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.35 — ფილმი — ბავშვებს. 17.55 — მონღოლეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 18.30 — პოეტ ვ. პერესტოვის შემოქმედება. 19.15 — ინტერსიგნალი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 და 22.40 — მილიციის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 23.30 — „თვალსაზრისი".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 და 11.05 — ინგლისური ენა. 11.35 და 12.35 — მუსიკა. IV კლასი. 12.05 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ფილმი „შურა და ბალბა". 14.30 — რიტმული ტანვარჯიში. 15.00 — ფოლკლორული ანსამბლი „როსიანოჩკა". 15.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 15.50 — ყაზახეთის სსრ სატელერადიო. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „ჰყავდა მამას სამი ვაჟიშვილი". II სერია. 19.15 — უკრავს ვიტალი შაპკინი (ფლეიტა). 19.40 — რიტმული ტანვარჯიში. 20.10 — ა. მელიქოვი. „სიყვარულის ლეგენდა" (ბალეტი). 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებთა ეკრანიზაცია". მხატვრული ტელეფილმი „სამი წელი". I და II სერია. შესვენებისას — ახალი ამბები.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უუ 10534 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14